

136 / 2  
1923


შპსი 1,000,000 მანეთი.



# გეოგრაფიკული



№ 13. კვირა, 18 ნოემბერი, 1923 წ. № 13.



ო. შლინგი.

აქ რომ მადლობზე დავლურს უფლიან, მათ მადლით უკვე თავსა დაჰყურებს  
განცხრომა არის მათი მიზანი, ძველი მსოფლიოს რღვევის ნიშანი!..  
ცხოვრების ამ ბნელ მახინჯთა წრეში და აი, კიდეც შემოდის მუშა,  
ვინც არის, ყველა გამოვიცანი; აქვს ანთებული ხელში ჟინჯილი,  
ლომსა და არწივს გ მბედაობით, ტუჩს დასთამაშებს ოდნავ ღიმილი.  
და ამ მახინჯთა ასაფეთქებლათ უკვე შეუნთო ქვეშიდგან მილი!..

საქართველოს  
გეოგრაფიკული  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა  
ინსტიტუტი

542



## „ტელეგრაფი.“

— „ტელეგრაფი!... ექსტრენი, ვეჩერნი ტელეგრაფი!... მანარხიჩესკი პერევაროტ ვ ბავარიი!...“

ტიგრან არუთინოვიჩი ეს-ეს იყო ჩამოხტა № 2 ტრამვაის ვაგონიდან. მან რომ დეპეშების დამტარებელი ყმაწვილის ამ სიტყვებს ყური მოჰკრა, სახეზე კმაყოფილებით სავსე ლიმილმა გადაჰკრა და გულმა რალაც საიდუმლო, თვით ტიგრანასთვისაც კი გამოუცნობი ძალით დაუწყაო დაგა-დუვი. ის მზათ იყო მივარდნილიყო და სარწმუნოებრივ ექსტაზში შესულივით თავიდან ფეხებამდე დაეკოცნა ეს მყვირალა და ჩამოღლებილ-ჩამოკონკილი ბავშვი, ის მზათ იყო...

მიუხედავად თავისი ბუნებრივი სიღინჯისა, მან ერთი მაშინაურად კიდევ გაიწვია მეგაზეთე ბავშვისაკენ, მაგრამ... ფიცხლავ გონს მოვიდა!..

„თქვენი ჭირიმი, ქვეყანა სავსეა სხვა-და-სხვა ქაჯი ხალხით. ერთი ვინმემ უხერხულად თვალი შამასწროს, ეს ჩემი გახარება სხვანაირად ახსნას, შემდეგ ვნახოთ: ერთი ი „ჩეკაშია“ „დანესენიაც“ მიყონ... მეორე დღეს ერთი „მიპატიჟების ბარათიც“ მამივიდეს... არა, ჩემმა მზემ, გვერდი ავუხვიო, ისა სჯობია! მანარხიჩესკი პერევაროტი მამხდარა!... ესეც ხომ გავიგე და სხვა კი რა დოზანად მინდა ი ტელეგრამის ქაღალდი... თუმცა... ჩემ სირანუშასაც მივუტანდი!... ის ცოტა ჯიუტი დედაკაცია: უსაბუთოთ ამოტელა ამბავს, აბა, რითი უნდა დავაჯერო“?!

ამ ფიქრებით დამძიმებული, უიმისოდაც მძიმე ტიგრან არუთინოვიჩი ხვნივით და ტაატით შეუდგა სოლოლაკის აღმართს...

შეალო თუ არა თავისი ბინის კარი, ტიგრანამ შიგ სახეში ახალა ეს სასიამოვნო ამბავი თავის გოგმანა სირანუშას... მაგრამ სირანუშმა, როგორც ტიგრანა უკვე მოელოდა, ეს ამბავი შორს დაიჭირა და, რა თქმა უნდა, არ დაიჯერა.

— „შენ სულ მაგები გელანდება, ქა აბა, საიდგან გაგიგონა აგეთი ამბები“?!

— „სირანუშჯან, შენ კი გენაცვალოს შენი ტიგრანა, აი, ამ ყურებით გავიგონე, რომ მეგაზეთე ბიჭები გასძახოდნენ ქუჩებშია. იგეთი ამბავი აეტეხნათ, იგეთი, რომა, ასე გეგონებოდა, პაქარი მამხდარაო. ბევრ მოტავარიშიო ხლუსტებს ცხვირები სულ მამალ ინდაურებივითა ჰქონდათ ჩამოშვებული“!... გაბრწყინებული სახით მოუთხრობდა ტიგრანა სირანუშას.

იმ დამეს ტიგრანა და სირანუშა, რომელიც ტიგრან არუთინოვიჩმა ბოლოს და ბოლოს, როგორც იყო, მოსტეხა და დააჯერა ამ სასიხარულო ცნობის სინამდვილეში, მეტის-მეტათ ტკბილ სიზმრებში იყვნენ...

ტიგრანა, საიქიოსკენ მობილიზაციაში გაწვეულსავე, ოცნებით გადასახლდა იმ ნეტარ-ხსენებულ წარსულ დროში, როცა ის ხატისოვის პარტიკაში ერთ-ერთ ბურჯათ ითვლებოდა და სწორეთ იმ სასახლეში, სადაც ეხლა „ცისა და ქვეყნის წყრომა“ ბალშევიკები ბატონობენ, ტიგრანა ნამესტნიკს ორთავი იანი არწივის ერთგულებას ეფიცებოდა.

ამ ტკბილი სიზმრების ქვეშ უეცრად ღამით გამობურსალებულმა მან თავის სირანუშას ერთი გვერდში ისეთი უჩქმიტა, რომ, მიუხედავად სირანუშას სიმორგვისა, იგი თითქმის ნახევარი ადლის სიმაღლეზე შეხტა და, ისევ ლოგინზე რომ დაეშვა, ტიგრანას ერთი ლაზათიანათ ჩააფარა ტუტუცურად გამომეტყველს ახეში. მაგრამ ტიგრანა ისე იყო გატაცებული გაფრენილი სიზმრის შთაბეჭდილებით, რომ ეს სირანუშას „ვიზავი“ პროშტად ეჩვენა და „რა დროაო“, სულელურად შეეკითხა. მაგრამ გაბუტული სირანუშა მეორე გვერდზე გადაბრუნდა და შეწყვეტილი ხვნეშა განახლებულის ინტენსივობით განაგრძო.

ტიგრანას ამის შემდეგ გათენებამდის ძილი აღარ მიჰკარებია. თითქოს ლოგინში კი არა, სანეტარო ტკბილ ფიქრების რბილ ბუმბულში იყო ჩაფლული...

გათენდა. მთელ მეორე დღეს ტიგრანა სულ უღვიწოთ მთვრალსა ჰგავდა.

სალამოზე, დუქანი რომ დაკეტა, ფიცხლავ სახლისკენ გამოსწია სწორეთ ტრამვაის იმავე ნომრით, რომელიც ტიგრანამ გუშინიდან უკვე უსაზღვროდ შეიყვარა.

ჯერ კიდევ სწრაფად მომავალ ვაგონიდან შენიშნა ტიგრანამ, რომ მეგაზეთეები თეთრ ქაღალდებს ჰაერში იქნევდნენ და რალაცას ახალის ენტუნიაზმით გაჰკიოდნენ. ტრამვაის ხმა უშლიდა და კარგათ ვერ გაარჩია მეგაზეთეების სიტყვები.

მაგრამ აი, ვაგონი შესდგა. ტიგრანა ჯერ ადგილიდან არც კი წამოდგარა, რომ ვაგონს შემოესაფრენ და ასტყდა ერთი დაუსრულებელი ჟრიამული.

„სვეტი, ვეჩერნი ექსტრენი ტელეგრამი! რაზგრომ ფაშისტოვ ვ ბავარიი!... არესტ ჰიტლერა ი ლიუდენდორფა“!...

ტიგრანა ისე იჯდა ტრამვაის ვაგონის სკამზე გაუნძრევლად, თითქოს ვიღაცამ ღიპზე ფეხი დააბჯინა და ზედ აღარ უშვებო...

მძიმე ქშენით ჩამოეშვა ვაგონიდან და დარეტიანებული ბატივით ნელის ბაჯბაჯით შდუდდა სოლოლაკის აღმართს...

მიდის ტიგრანა თავისი ბინისაკენ ისე, როგორც მტკვარში ჩასავარდნათ გამზადებული... რაც „იზარალა“, ეს კიდევ არაფერი. მხოლოდ სახლში მისულმა როგორღა შეხედეს და შეხედოს თავის სირანუშას? აი, ტიგრანას დარდი!...

— „ეს სულ მაგ ქაჯების ოინებია“, ბუზღუნებდა თავისთვის ტიგრანა კომუნისტებზე და დატვირთული საბარგო ავტომობილივით აწვებოდა სოლოლაკის აღმართს...

ან.

## საგულისწარმო მაგალითი.

„სტინენსის გაზეთები ხაზგასმით მოითხოვენ გერმანიაში დიქტატურის აუცილებლობას, მიუთითებენ რა იტალიის, ისპანიის და... რუსეთის მაგალითებზე“.

(დეპეშებიდან)

წაიკითხა რა სტინენსმა უკანასკნელი ტელეგრამები, მოიხმო თავისი მდივანი კაბინეთში, გაბრაზებულმა დაჰკრა მჯილი მაგიდას და წამოიძახა:

— კმარა! მომზებრდა მე ეს ჩხირკედელაობა. მოვითხოვ ეხლავე დიქტატურის დამყარებას! მხოლოდ დიქტატურას შეუძლია გამოიყვანოს ჩიხიდან გერმანია.

მდივანი სდუმდა.

— დიახ, მხოლოდ დიქტატურას... მაგალითისთვის შორს წასვლა არ გვინდა. ავიღოთ იტალია, ისპანია, თუნდა რუსეთი!..

— მაგრამ...

— არავითარი „მაგრამ“! დაჩუმდით! მე სტინენსი ვარ, თუ არა ვარ სტინენსი? ეხლავე გამოაქვეყნეთ ჩემს გაეეთებში, ხაზი გაუსვით, — ვთხოვლობ მე დიქტატურის დამყარებას, — მორჩა და გათავდა! გესმით? გაიგეთ? გასწით!..

\* \*

— როგორ მიდის საქმე? მოქმედობთ?

— დიახ, მაგრამ..

— არავითარი „მაგრამ“ არ ვიცი მე! მყარდება?

— მყარდება...

— წარმატებით?

— წარმატებით, სამწუხ...

— დაჩუმდით! გასწით, განაგრძეთ!...

\* \*

— ბატონო სტინენს!

— რა მოხდა?

— ბატონო სტინენს...

— ოხ! მე უკვე ორმოცი წელია ბატონი სტინენსი ვარ! რაშია საქმე? იწვის რამე თუ?

— საქსონიაში მუშათა მთავრობა შესდგა!

— ეს შეუძლებელია!

— ტიურინგ...

— რაო?

— ტიურინგიაში მუშათა მთავრობა გამოაცხადეს, ყოველგან გაფიც...

— რაო, რაო?

— მუშათა მთავრობა ტიურინგიაში მეთქი, ყოველგან...

— ყოველგან კიდევ რა?

— მუშები თხოვლობენ რვა საათის სამუშაო დღის შენარჩუნებას... ირჩევენ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს და უნდათ საბჭოთა მთავრობა.

— საბჭოთა მთავრობა? რას ბოდავ!..

— კიდევ...

— კიდევ რაღა?

— მუშებმა გადმოისროლეს ლოზუნგი: „გაუმარჯოს დიქტატურას“!..

— აკი გეუბნებოდით მე თქვენ!..

— მუშათა დიქტატურას და არა...

სტინენსი ზეზე წამოიჭრება:

— აქ რალაც შეცდომაა! მე ხომ ასეთი დიქტატურა არ მქონდა მხედველობაში... უთხარით მათ, რომ მე...

— თქვენგან დასახელებულ სამი დიქტატურისაგან იმათ უკანასკნელი აირჩიეს, ბატონო სტინენს!..

3. კაბაევ.


## შარადა.

მინდა ხანდახან მეც ვწერო შარადა დროს შესაფერათ: ზოგს ცოტა რამ ვაწყენინო, ზოგსაც ვესტუმრო საშველათ. შარადის ასაშენებლათ ოპერის თეატრს ვესტუმროთ, „აბესალომ და ეთერა“-სა გულ-დასმით ჩვენ იქ ვუყუროთ.



გავიგოთ დედინაცვალის  
„ეთერი“ თუ რა იქნება.  
უკნიდან ერთი ანბანი  
მოგვლიჯოთ, ასე გვჭირდება.  
ყველა მასა სცემს, მას ტუქსავს,  
დ- ჩვენგანც ნუ ეწყინება.  
ეხლა მოვსცილდეთ თეატრსა,  
თორემ იქ ჩაგვეძინება.  
ცხადში ვერ ვხედავთ ამ საგანს,  
სიზმარში მოგვეჩვენება:  
სულ შეიცავდა ოც შაურს  
ვერცხლის ფულების შვენება.  
რომ დავამთავროთ შარადა,  
ის მთელათ ჩვენ დაგვჭირდება,  
მის ამოცნობა, მე ვგონებ,  
აწ არავის გაუჭირდება!...  
აქ მიღებული სახელი,  
ზედ მივაშენოთ პირვანდელს,  
მივიღებთ ურცხო ქვეყანას,  
მაგრამ სულ არ ჰგავს წინანდელს.  
ვგზავნი და ვგზავნი „ჩერვონცებს“  
მის დასახმარათ ჩვენ ყველა:  
ვაშალებთ იქაც „ოქტომბერს“,  
რომ ჩვენს ძმებს მივსცეთ მით შველა!...

ტარ—სვანი...



### ნ ე მ ე ნ ც უ რ ი წ ე ს ი ე რ ე ბ ა .

საბჭოთა ქვეყნელი მუშა—გერმანელ მუშას: მეგობარო, პირველად უნდა ეცადოთ  
და დაიჭიროთ რკინისგზის სადგური...  
გერმანელი პასუხად:—აჰა, მაშ, პეროვნე გასასვლელი ბილეთი უნდა შევიძინოთ...

## „ახალი ვეფხის ტყაოსანი“.

სამ თავად

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

იყო გერმანეთის შტრეზემან, პრემიერ, ლეთისგან ქებული,  
მუშების ოფლით და სისხლით მათ ზურგზე გასუქებული,  
მოსამართლე და მოძალე, დამსჯელი, გალაღებული,  
თვით მეომარი, უომრად რურზედა ხელაღებული.

სხვა არვინ ესვა ებერტსა, მართოდენ მარტო ავსული,  
ანტანტის მნათე, მნათობი, ფაშისტთა დასთა დასული;  
მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული,  
როს კომუნისტთა თავები იხილოს გადაბასრული.

მას რეაქცია ეწოდოს, დრო ესე საცოდნარია,  
როს გაიზარდოს, გაივსოს, მზეც მისგან საწუნარია:  
კვლავ პრემიერად შტრეზემან იჯდეს ლალი და წყნარია,  
ერთი-ლა ჰყავდა მოცილე ბავარიელი კარია.

აწ ისიც დრომ გადაიღო, სოფელი ასრე მქნელია,  
თავი იჩინა ფაშისტმა, ჭირი-ჭირთ უფრო ძნელია,  
თუ კი სიბნელე რამეა, ის ყველა ბნელზე ბნელია,  
სუსხით იმისგან თვით ზამთრის ღამეც კი საწუნელია.

ებერტმან იხმო შტრეზემან თავის სასაუბაროსა,  
უბრძანა: „გეტყვი საქმესა, რამან შენც გაგახაროსა:  
რა კაბინეთი დრო ჟამმა დააზროს, დაამტკნაროსა,  
იგი წავა და სხვა მოვა მარკათა საბალნაროსა.

მზე ჩავისვენდა, ესდეთა დაჰკარგეს ძველი დიდება,  
დღეს მათი ავლა-ალაფი კურდღელსაც აეკიდება,  
მათ მინისტრობა კვლავ შერჩესთ, ეს ჩვენ რას შეგვეხილება?  
გაჰყარე კაბინეთიდან, ნუ ვისი მოგერიდება!..

კვლავცა შენ გნიშნავ სპასეტად და ამის სპასალარისა  
წოდებას ფონ-სექტს ვუბოძებ, მსგავსად მზისა და მთვარისა,  
დრო დაყოვნებას არ ითმენს, თუმც შიში არ გვაქვს კარისა,  
მაგრამ ჰიტლერი ფიქრს მგვრის და უბრძანე შეყრა ჯარისა!..

ამა ცნობამ შტრეზემანი შეჰქმნა ოდნავ ფერნაკლულად,  
კაბინეთის გამოფერთხა მისსაც აჩნდის სულსა წყლულად,  
დიქტატურის მიჯნურობა გულში ჰქონდა დამალულად.  
საბრალოა სიყვარული, კაცსა შექმნის გულ მოკლულად.

რა ებერტ ბრძანა ხელქვეშე გარეკა კაბინეთისა,  
შტრეზემან გახდა მიმღები საფალარათო ზეთისა,

გახდა და მყისვე გადადგა მთავრობა გერმანეთისა,  
რურის გმირს ვაგლახ არ შვენის ბერლინში მოხრა ქედისა!..

მან ახალი კაბინეთის მეორე დღეს იწყო წყობა,  
მინისტრების არჩევისა ყოვლის მხრით გასცა ცნობა,  
თუმც სიცოცხლის ნიშინ-წყალი ამ თავითვე არ ეტყობა,  
მაგრამ მაინც უნდა შესდგეს, არ შესდგეს, არ გაეწყობა.

მოვიდეს ერის ერთგულნი, ჯარი გამრავლდეს ხასისა,  
წინ სდგას ფონ-სექტი, პირიშე ლაშქრისა ბევრ ათასისა,  
ვეზირნი: ზოლცმან, გეინცე, გესლერის დასთა დასისა,  
მათ რომე დასდგეს საჯლომი, სთქვეს: „უთქმელის ფასისა“ \*)

ფონ-სექტი ნიშნავს მიუღერს პირითა მით ნათელითა,  
მოილო ხმალი და წელზე შეარტყა თავის ხელითა,  
მისცა ჯარი და შემოსა სამხედრო სამოსელითა  
და დასძრა ბავარიისკენ ბრძანებით მან ფიცხელითა:

„ვარდთა და ნეხთა ვინადგან მზე სწორად მოეფინების,  
დიდთა და წვრილთა აღზოცვა შენცა ნუ მოგეწყინების,  
შეიძელ ანიაღვრება მუშათა სისხლის დინების,  
დე არე მარე შეჰზაროს ახმაურებამ რკინების!...“

ყმა ფონ-სექტის ბრძანებასა ლალი წყნარად მოისმენდა,  
თავმოდრეკით გაილიმნა, გაცივება დაუმშვენდა,  
ხმაღს მალი-მალ ხელს ივლებდა, ღელავდა და ვერ ითმენდა,  
ეტყობოდა,—ბრძოლის ველზე ის რომ თავს არ შეირცხვენდა.

მიუღერ ჯარსა უბრძანა: „მინდორი მოიარენით,  
დასცევით მემბოხენი, თავნი ამისთვის არენით,  
ისეთი საქმე წაჰკიდეთ, რომ არ ითქმოდეს არ ენით!  
ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს: „მოდით და მოიჯარენით“!..

საქსონია გაირბინეს, მუშები წინ შემოისხეს,  
დაჰზოცეს და ამოწყვიტეს, დრეზდენს ღმერთი შეარისხეს,  
ველი წითლად შეელენეს, მუშათ სისხლი ხელს აისხეს,  
საღვრელად და სათხევლად არ ზოგავდენ ამა სითხეს.

დალივენს იგი მინდორი, მართ მათგან განარბენია,  
შორს ბავარიის გამოჩნდა მინდვრები, მთა და კლდენია  
ნადირნი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა რბის ცხენია,  
იგი მეტეოლონი ერთავად მოსწყდეს, რაზომცა მხნენია.

საგრილობელად, საწოლად გარდახდეს ძირთა ხეთასა,  
ლაშქართა შეჰქმნეს მოდენა, მოსდგეს უბზესი ბზეთასა,  
ახლოს უდგეს რაზმი ფაშისტთა, უმხნენი სხვათა მხნეთასა,  
უჭვრეტლის ბავარიისა მიწაწყალს, პირსა კლდეთასა!...

\*) რა თქმა უნდა,—გერმანულ მარკის ანგარიშით.



## თ ა ვ ი მ ე ო რ ე .

## თავი მესამე და უკანასკნელი.

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, მიუწეწის იჯდა ძირსა,  
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ყორნისა ბაგე-პირსა,  
ხშირად ესხა გიშრისთვალნი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა,  
ვერ იცხრობდის, შავ ზრახვათგან, გულსა, მდულრად ანატირსა.

მას ტანსა კაბა ემოსა, გარეთმა, ფერად ყვავისა,  
ყვავის ფრთათაგან ქუდივე ჰქონდა სარკველად თავისა,  
ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა...  
ნახეს და ნახვა შეჰზარდათ ამ უშნო სანახავისა.

ლიუდენდორფი სახელად იყო ამ უშნო არსისა,  
თვით იყო მეზაირახტრე ფაშისტთა ურდო-დასისა,  
მას თავზე ხელაღებული ჰყვა ჯარი მრავლად ხასისა,  
თუმც ზედ არ იყო დასტური არც მიწისა და არც ცისა.

სხვაგან ჰქრის მისი გონება, მისმან ჰიტლერის წონამან:  
ბერლინის უნდა აღება, სხვა ვერა მოიგონა მან,  
მისივე გაიზიარა ზრახვა ჰიტლერის კონამან;  
მათ შეგზავნა ვერ გაუბედა მიულერ, სექტის მონამან.

დაიძრა ლიუდენდორფი ბერლინის დასაპყრობელად,  
მან მიულერის ლაშქარი ჰქნა მტერთაც საწყალობელად,  
ჰკრა ერთმანეთსა, დაჰზოცნა თავის ხელ აღუპყრობელად,  
ზოგსა გადაჰკრის მათრახი მკერდამდის გასაპოხელად.

ებერტ გასწერა, გაგულისდა, ესდენიცა შეუზახნა,  
მან ისინი არ დაინდო, არ უჭვრიტნა, არცა ნახნა  
რაზომნიცა ველნი წანგლო, სულ აიკლო, დასწვა, დახნა,  
ბერლინი ხელში ჩაიგდო, შტრეზემანიც ივაგლახნა.

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,  
მისგან ყოველი გასწორდეს: სუსტი და ძალგულოვანი,  
შეჰყარა აჯანყებამან ერთად მოყმე და მცხოვანი,  
საქვეს: ნაძრახ სიკვდილს სჯობია სიცოცხლე, სახელოვანი!..

მისდგეს მუშები, მივიდნენ, განხდა ამჯრისა ჩხარია,  
მოედო ბერლინს კალიებრ აჯანყებულთა ჯარია,  
ჩალეწეს ებერტ-შტრეზემნის ძლევა-სუფევის კარია,  
ლიუდენდორფმაც „ვა-ო“ სთქვა, ჰიტლერიც მან გადარია.


მუშე-მა ხმალი ხელნი იღეს, ბარიკადნიც მოიხურნეს,  
თოფეიცა მოიმარჯვეს, მკლავნი გაიმამაცურნეს,  
საზრდოთ პური არ აკლიათ: რუსეთიდგან მისდის ფურნეს  
და ამ რიგათ გერმანეთი ფაშაზმისგან მათ განჰკურნეს.

უკუბრის ლიუდენდორფი, სწრაფვა აქვს წყლულთა ხევისა,  
ჰიტლერისგანაც მოვიდა ცნობა მის უკანწვევისა,  
მათ უკვე ცხადათ იხილეს მიზეზი ლხინთა ლევისა,  
ხმა განხდა მთელს გერმანეთში წითელი დროშის ძლევისა!..

აწ ვუქოთ ბავარიაში ამოქმედება „ჩეკასა“,  
ხელი რომ მიჰყო ბნელძალთა დაპატიმრება-ჩხრეკასა:  
შეიპყრეს ლიუდენდორფი, ჰიტლერიც მისცეს დრეკასა  
და მიუსაჯეს ჩაღრმობა, ვით მურიას და ბეკასა.

დასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა,  
გარდახდეს, განვლეს სოფელი, ნახეს სიმუხთლე ჟამისა:  
დაეცა, ჩაჰჭრა ფაშაზმის ხსენება მოკლე წამისა,  
აკომუნიზმდა ცხოვრება, ნაცვლად მსოფლიოს დრამისა!..

ონისიმე შოთელი.



გერმანიაში მუშა:—ყოფილ გენერალს:  
ჰერ, მიბოძეთ ცეცხლი თქვენი სიგარიდან!

## ჩვენი გიჟები საზღვარგარეთ.

ბენო. ვ-ა-ა, ნიკოჯან, მოდი ერთი გემ-რიელათ ჩაგპროშტო... ვა, თქვე უღმერთებო, აქ სად მომიყვანეთ... სად მე და სად

ზაგრანიცა... ესეც რამეა! მალაქია ხომ კარგად იცის არ წაიყვანს კაცს! ვა, ნიკოჯან, დუნესტო, მოდი ერთი კიდე ჩაგიწონწო ტუჩები! არა მჯერამს, ჩემმა მზემ, რომ მე და შენ ბერლინში ვართ.

მალაქია. ცოტა დინჯათ იყავით, თქვე ყურუშაღებო? ბერლინში ხართ, კარაუშას

ტრახტირში ხომ არა გგონიათ თქვენი თავი.

ნიკო. გიშველათ ღმერთმა, რომ ჩამოხვე-ლით. ეს ოხერი ქალაქი თუმცა უზარმაზარია, მაგრამ ჩემ თავს მე ბერლინში ისე ვგრძნობ, როგორც სელიოტკა ძეგველოვის ბოჩკაში. კაცო, ეს რა ხალხი ყოფილა. ყველაფერს ნოტებით აკეთებენ! ოც მილიონამდე მუშა არის გერმანიაში და ერთი რიგის რევოლიუცია ვერ მოუხდენიათ. დაჰკარით რაღა, თქვე ოჯახქორებო! გასწით და მეგრე ენახათ, საცა გაწყდება!

მალაქია. ნიკო, ერთი თქვი და! რაშია საქმე, რომ ამ რევოლიუციას ასე აჭიანურებენ?

ნიკო. ჯერ ერთი, ჩემო კარგო, რომ ხალხი თითონ მოშხამულია მენშევიკებისაგან და ძალიან მძიმედ მიდის რევოლიუციისაკენ. მეორეც ის, რომ აქაური ბურჟუაზია ჩვენ ყოფილ კაპიტალისტებზე მეტად ძლიერია და კბილებით და ფრჩხილებით ებლაუტება თავის ხელისუფლებას და მესამეც ის, რომ აქაურ ხალხს სისხლი ისე არ უდღვს, როგორც ჩვენ მუშებს. მაგრამ, მალაქიაჯან, ჩვენ მარქსისტები ვართ და ვიცით, რომ არ გავა დიდი ხანი, რ-ცა რომ გვეღირსება გერმანიის ბურჟუაზიის ქელების ქამაც.

ბენო. ქელები კი არა, ბიჭო, ერთი სად-მე წამიყვან, ცხელი საქმელი ჩამაცეცხლეთ, თორემ ღამის შიმშილისაგან მაზურკა ვიცეკვო.

ნიკო. წამოდით, კაფე-რესტორანში შევიდეთ და ვისადილოთ. მაგრამ, ბენოჯან, ეხლავე გაფთხილეთ პური ძალიან ცოტა ჰამე, რადგანაც აქ არ არის მიღებული დიდრონი ლუკმის ჩადება ვართაბეტასავით სულ დანაჩანგლით უნდა მიირთვა პიწი-პიწი.

ბენო. მაშ, შენ როგორ სძლებ, ნიკოჯან, შენი ლუკმები ხომ გათქმულია. შენი ლუკ-



მა რომ ქანდარა იყოს, ზედ კავთისხევის  
ოთხი ინდოური ჩამოჯდება! მერე რა უნდა  
მაქამოთ იმ. კაფე-რესტორანში.

**ნიკო.** პირველი იქნება უხორცო სუბი,  
მეორე სასისკები კომბოსტოთი და მესამეც  
როზბრატენი. დალევითაც კარგ პიკოს მი-  
ვირთმევთ.

**ბენო.** ვაი, ქვეყანავ, შენ ბარის დამკ-  
ვრელს რა უთხრა! ბიჭო, როზბრატი რა  
არის, შე უსინდისო! როზბრატი რათ მინ-  
და, ბიჭო! იქნება ეგ შენი როზბრატი ვი-  
რის ხორციდან არის გაკეთებული? ნიკო  
ჯან, ექვსი თვეა შენი თავი არ მენახა და  
შენ კი როზბრატით მიხვდები აქ! ესე მალე  
როგორ წახდი მაგრე? შე კაი კაცო, მიეცი  
ზაკაზი პირველი ბოზბაშისა, მეორე ააში-  
შინებინე ღორის წვადები, თანაც დაეაყო-  
ლოთ წითელი მაჭარი. კაცო, რას მიშვრე-  
ბით! რა მეროზბრატება! ერთი ქრისტიან-  
ულათ მაქამეთ ერთიოდე ლუკმა, ერთი  
ქამრიან სტაქნით შენი სადღერძელო და-  
მალევინე! პიკოო! პიკოს როგორა სვამთ?  
არ გეშინიათ მუცელში ბაყაყები გაგიჩნ-  
დეთ? არა, მაღაქია-ჯან, თუ ჩქარა დაბ-  
რუნდები თფილისში რა კარქი, თუ არა და  
ფეხით გავიქცევი შენი როზბრატისაგან.

**ნიკო.** ბენო, ეგე უკან მიიხედე, — ორორი  
ჯაშუში მოგვდევს. ცოტა ფეხი აუჩქაროთ.

**ბენო.** ჯაშუშებიო? მემრე რა არის? წი-  
ნეთ ხომ, შენმა მზემ, სულ ნემკა გუვერ-  
ნატკები მოგდევდნენ, აი!

## II. ნიკო და ბენო სასადილოში.

**ნიკო.** (ლაქიას) გარსონ! ტრინკენ უნდ  
ესენ. ცვაი ზუბე, ცვაი სოსის, ცვაი როზ-  
ბრადენ უნდ ცვაი ბიირ! (ბენოს) ნახე, რო-  
გორ ჩაუნემენცურე! ენა ამ ცოტა ხანში  
კარგათ შევისწავლე — გინდ დაიჯერე, გინდ  
არა!

**ბენო.** ეს ამოდენა გაზეთები და წიგნე-  
ბი რათა ყრია მაგიაზხედ? აქ სასადილოა,  
თუ სამკითხველო?

**ნიკო.** აქ ასეა მიღებული, ჩემო ბენო!  
ნემენცები დროს ცუდ უბრალოთ არასო-  
დეს არა კარგავენ. სინამ სადილს მოგი-  
ტანენ, უნდა გადიკითხო, სულ ცოტა, ერთი  
გაზეთი და ერთი ჟურნალი და გადაათვა-  
ლიერო ერთიწიგნაკი.

**ბენო.** ერთი მითხარ, ნიკო-ჯან, რუსუ-  
ლიდან, ან ქართულიდან ეს გერმანელები  
რამეს სთარგმნიან ამ ბოლო ხანში, თუ  
არა?

**ნიკო.** როგორ არა! დიდი ლაპარაკი გა-  
მოიწვია ბერლინში იაგორ თეთუნაშვილის  
ნაწერმა, რომელიც შარშან თფილისში  
იყო გამოცემულა ნარკომპროდის მიერ.  
გუშინაც ქართველ მენშევიკებმა გამართეს  
დიდი კრება, რომელზედაც მოხსენება გაა-  
კეთა კარლო ჩხეიძემ. მომხსენებელი ამტკი-  
ცებდა, რომ მენშევიკებმა თფილისში და-  
ტოვეს აუარებელი საქონელი, რომელიც  
ჩაიდგეს ხელში ერქომაიშვილმა და ამირა-  
ლოვმა და გაანადგურესო. ჩვენ მოვითხო-  
ვეთ საბუთები და ბოლოს კი ვინანეთ, რა-  
დგანაც საბუთათ გამოაქვეყნეს „საქართვე-  
ლოს ნარკომპროდის 1921 წლის ანგარი-  
ში“. ამ წიგნის საშუალებით მთელმა ევ-  
როპამ გაიგო რამდენი ლურსმანი, ქვაბი,



საბჭოთა ქვეყანაში: — ყოფილი გენერალი — მუშას: ამხანაგო კეთილ ინე-  
ბეთ და მომიკიდე ცეცხლი!

ლამის ჭურჭელი და სხვები დატოვა გაქ-  
ცეულ მენშევიკების მთავრობამ საქართვე-  
ლოში. ეს წიგნი გამოუცია მეორე ინტერ-  
ნაციონალს გერმანულ ენაზე, სათაურით  
„Angenehme Erinnerungen“, \*) მაგრამ სის-  
წორე უნდა ვაღიარო: ნარკომპროდის გამო-  
ცემული „Отчет за 1921 г. наркомпро-  
да с. с. р. г.“ უფრო ღამაზია და მშვენიერ  
ქალღმრთელს არის დაბეჭდილი.

**ბენო.** (მიირთმევს სოსისებს) ბიჭო, ეს  
ერეშეები კარქი რამ ყოფილან, მაგრამ ჩვენ  
კუპატთან ვერა მოვა. დედა ჩემმა რომ  
მნახოს, სადა ვზივარ, ან რასა ვკამ, ცრემ-  
ლები ტკეარს აადიდებს. იძახიან ნემენცე-  
ბი მძიმე ხალხიო, შე კაი კაცო, მაშ ეს  
პიკო ხალხს არ მოაბოშებს. დალიე წითე-  
ლენო, რომ ძარღვებში სისხლი აგიჩქაფუ-  
ნოს. შენმა მზემ, ნიკო, კახურ ღვინოს რომ  
შევაჩვიოთ ეს ჩვენი გერმანელები, უფრო  
კარგათ წავა აქაური საქმეები. (შემაჯკო  
როზბრატები) ვა, ეს არის შენი როზბრა-  
ტი! შე კაი კაცო, ამას ხომ ქრისტიანუ-  
ლათ ჰქვია „ჟარკო“. ასე მეტყოდი რადა.  
მაშ, რათ მაშინებდი მაგნაირ უცნაურ სა-  
ხელით.

**ნიკო.** მოგწონს, ბიჭო, როზბრატები?

**ბენო.** კარგია, მაგრამ ძალიან პატარა  
პორციას იძლევიან. მოდი დავენაძლევედეთ,  
რომ ამნაირი სადილი ვკამო რვა, ან ცხრა.

\*) სასიამოვნო მოგონებანი.

ეს ზორბრატი კუჭამდი არც კი ჩავიდა,  
სულ კბილებში გამომეჭედა.

**ნიკო.** აქ, ბენო ჯან, ეს პატარა პორ-  
ციები უფრო ძვირია, ვინამ ავეტიქას ორ-  
ჯამიანით მოტანილი ჯიგრის ბოლამა. აქ  
მუშები ცოტ-ცოტათი ჰამას გადაეჩვევიან  
ამნაირი პორციებით. დაილოცოს ჩვენი  
„დამშიებული“ მხარე!

**ბენო.** შეაყოლოთ, თუ ძმა ხარ. თან  
ცოტა თუშური ყველი მაქვს ჩამოტანილი,  
იმით თუ გამოვიმსებ კუჭს მემრე. ესლა  
სად მივდივართ?

**ნიკო.** აქედგან წაგიყვან გერმანელ სო-  
ციალ-დემოკრატების კრებაზე.

**ბენო.** მაგრე გენაცვალე, ნიკო-ჯან! ერ-  
თი ებერტის, ნოსკეს და სხვა გამყიდველე-  
ბის სიფათი მაჩვენე.

(გაგრძელება იქნება)

ვინმე.

## ფიქსია

ცისფერი სისხლი მას ძარღვებში  
არა დენია,  
ახალ დროიდან ზურგზე ბოლი  
არ აღენია;  
სამჯერ დროება გადაბრუნდა,  
გამოიცვალა,  
ხეირიანად მისთვის ვერვინ  
ვერ მოიცალა.  
ყველას გონია იგი მცირე





**ჟოფრი—პოლონელს:** მეგობარო, გამომშვიდობით კი გამოგემშვიდობე, მაგრამ აღარ ვიცი, რომელი გზით წავიდე: იქით—საბჭოთა რუსეთი. აქით—ჯანყ-ბურჟუასიანი გერმანია. ორივე მხრით გზა სახიფათოა.

**პოლონელი—ჟოფრს:** აი, აქ, ლაჯებში გამიძვერი და იქიდგან სამშვიდობოსაც ადვილად გახვალ.

და უვნებელი,  
სიკეთესს თუ არ, მისგან ზიანს  
ნურავინ ელი.  
კჟუა-გონებით, განათლებით  
ვერ დაიკვებებს,  
დოცენტივით კი ამპარტავნად  
მიათრევს ფეხებს.  
რამდენიც უნდა უჯიჟინო,  
ფორსს არ ანელებს,  
თავდავიწყებით ეტანება  
ლამაზ მანერებს.  
მულამ სხვა-და-სხვა კოსტუმებში  
გაწყობულია,  
ალბად, ჯიბეში ეპოვება  
მრავლად ფულია.  
კისერზე ჭრელი ყელსახვევი  
აბრეშუმისა,  
ფეხსაცმლებიც გულს აღმძვრელი  
მტრობა-შურისა.  
ხელშიც მოდაზე კობტად ტროსტი  
დაუჭერია,  
იატაკია მისთვის მიწა  
და ცა ჭერია.  
სახეზეც პუდრი დაუყრია  
შესაფერისად,  
ატრიბუტები ქალებისა  
უცვნია თვისად.  
მიდის, ვუცქერი მე ამებით  
ასე ხელმოკლე,  
ახ, რად აკლია იმას თვალზე....  
თვალზე მონოკლი?...  
ვინ თქვას, რომ ის არს მოქალაქე  
სოვ-მიწ-წყლებისა,  
„სოვრაბოტნიკი“ ერთ მშვენიერ  
„სოვ-უწყებისა“.  
სამსახურისკენ დილაობით  
არ ეჩქარება,  
„ერივანკაზე“ საჭიროა

მისთვის გარება,  
რომ შეასრულოს დადებული  
აღთქმა-ფიცია;  
ცხრა საათი კი მისთვის არს  
მხოლოდ ფიქცია.  
ბოლოს საკმაოდ ჟინმოკლულმა,  
თუ კი ინება,  
კანცელარიას ის თერთმეტზე  
მოველინება;  
შემოვა რიხით, თავის მოსვლას  
ყველას ანიშნებს,  
და დაუკოცნის ხელებს ლამაზ  
დამებს, ბარიშნებს.—  
არის ასეთი კავალრობა  
კაცის მშვენება—  
(რა იქნებოდა „ნარკომზდრაეო“  
კეთილ გენება,  
რომ ძირიანად აღმოგვეფხრა  
ტიფი, სახადი,  
ხელის კოცნაზე შემოგელო  
გადასახადი!...)  
წარბებ შეკრული მოუჯდება  
შემდეგ მაგიდას,  
ეტყვის მთხოვნელებს გაბრაზებით,  
მკვახეთ: — „რა გინდათ?...  
რალაც ცნობისთვის თუ დადიხართ  
ერთი კვირეა,  
ეს არავისთვის აქ არ არის  
გასაკვირია.  
მოდით შემდეგში, ეხლა თქვენთვის  
არა მცალაია,  
როგორ გაგიწვდეთ, აბა, ყველას,  
საოცარი?...  
ჩაღუნავს თავს და მიეცემა  
თითქოს საქმესა.  
მუყაითს მუშას ეძახიან,  
მუშას, საქმესა.  
მთლად ქალაღებში ჩაფლულია

ხელ-ფეხ-თავითა,  
თან კედლის საათს აცქერდება  
ეჭვის თვალთა.  
ხწირად ტელეფონს რეკავს, ყვირის:  
— ცენტრალო, ალლო!...  
რამდენი არის ეხლა დროი,  
მიტხარი, ქალო!...—  
სამის ნახევარს თუ მოესწრო,  
მსწრაფლ იგრძნობს შვებას,  
დინჯად ადგება და შინისკენ  
გაეშურება.  
ფიქრობს: მეყოფა, საკმარისად  
დღეს ვიმუშავე,  
და ცოტა ადრე რომ წავიდე,  
ვის რას ვუშავებ?...  
და მიდის ჩქარა მოქალაქე  
სოვ-მიწ-წყლებისა,  
„სოვრაბოტნიკი“ ერთ მშვენიერ  
სოვუწყებისა!...

სინემატო.

## მოინანიო.

მამა ათანასე სეფისკვერიძეს პირის სინა  
სუნავსთან ერთი ზნეც სჭირდა, მეტის-მე-  
ტათ ქალების მოყვარული ხუცესი იყო.

ქერა, ახოვან, ლამაზ გარეგნობასთან,  
მოდღვარს ახსარების ჩამორთმევის საიდუმ-  
ლო წესიც ხელს უწყობდა მეგობრული კავ-  
შირის გაბმაში თავისი მრევლის ახალგაზ-  
რდა ქმრიან ქალებთან.

ცოლების მეგობრულმა განწყობილებამ  
ბევრი ქმრები გადაამტერა ათანასეს, —მათ  
შორის გოგია კელაპტარიძეც.

გოგიას ხშირად შეუმჩნევია მამა ათანა-  
სე თავისი ეზოს სიახლოვეს მიმავალი შუკა-  
ში სწორეთ იმ დროს, როდესაც თითონ,  
მძიმე ტვირთით მხარზე, ბრუნდებოდა მო-  
ქანცული შორეულ ყანიდან.

ეს გარემოება და კიდევ ის, რომ გოგი-  
ას უკანასკნელი ძუძუ მწოვარა ვაჟი ქერა  
დაიბადა, იმ დროს, როდესაც თვითონ გო-  
გია და მისი ცოლი-ელპიტი შავგვრემანები  
იყვნენ, საშინელ ეჭვებს უღვიძებდნენ გულ-  
ში მას.

მაგრამ ეჭვი ეჭვით რჩებოდა, რადგან  
ცოლის ლალატის დასამტკიცებელი საბუთი  
მეტე არაფერი ჰქონდა ხელში გოგიას.

მიუხედავად ამისა, გოგია ყოველივე ზო-  
მებს ღებულობდა, რომ მღვდლისთვის რა-  
მე დაეკლო და ეწყენიებია, მაგრამ ვერა-  
ფერს ახერხებდა, გარდა იმისა, რომ ხან-  
დახან მის საკუთრება ტყეში წქნელს და  
სარს მოუჭრიდა ჩუმათ, ან და ლამდამობით  
საქონელს შეუსევდა ყანაში.

მაგრამ გულუბრყვილო გოგიას ასეთი  
მოქმედებისათვის სინდისი ხშირად ქეჯნიდა  
და ის სულიერ ტანჯვას განიცდიდა.

ერთხელ, დიდი მარხვის კვირაში გოგიამ  
გადასწყვიტა ზიარების აღება და აღსარე-  
ბის დროს მოძღვარისთვის გულახდილათ  
გამოტეხა თავისი ნამოქმედარის შესახებ.

გოგიას გულწრფელმა აღსარებამ ხუცეს-  
ზე სულ სხვაფერ იმოქმედა, ვიდრე გოგია  
ელოდა ამას. მამა ათანასე ისე გაურისხდა  
მას, თითქოს მთელი მისი მამული გაეჩანა-  
გებიოს გოგიას.



რომ სხვა გლეხებსაც არ გაეზენდნათ ღვდლისთვის წკნელის და სარის მოპარვა, ან ჩუმად ყანაში საჭონლის შესევა, ათანასემ დაჟინებით მოსთხოვა გოგიას, რომ, წირვის გამოსვლის შემდეგ, მას ხმა მალლა აელიარებია თავისი ცოდვები მთელი მრევლის წინაშე.

ხუცესის ასეთმა მოთხოვნისგან გოგია მოთმინებიდან გამოიყვანა და გადასწყვიტა მან ათანასესთვის სამაგიეროს გადახდა...

როდესაც წირვა გათავდა და ხალხი საყდრიდან გარეთ გამოსვლას აპირებდა, მამა ათანასემ მიმართა მათ, რათა შეჩერებულიყვნენ და მოესმინათ ის, რასაც გოგია კელაპტარიძე იტყოდა.

საყდარში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

გოგია შესდგა აღსავლის კარების წინ საფეხურზე და ხმა მალლა განაცხადა:

— ხალხო! ვისაც ქერა შვილები გყავთ, იცოდეთ, რომ ეს თქვენი არ არის, არამედ ათანასე სეთისკვერიძის შვილია. ამას მე ვაცხადებ ყველასათვის გასაგონათ, როგორც ხედავთ, თვითონ ხუცესის ნებართვით!..

როგორი ჩოჩქოლი შეიქნებოდა საყდარში, ამ განცხადების შემდეგ, ამის წარმოდგენა თვით მორწმუნეთათვის მიმინდვია...

კაპანულეა...

## „რეპიკონალის სრამლები“

ლამეა წაიღო ქარმა

და ლანდი ისევ მოდის,

მთვარე ამოდის: ქარვა

გადაათეთრებს ლოდინს,

ო, ეს მგმინავი ლამე

და საშინელი თრთოლა:

ეძებს შიშველს და ღარიბს

მთვრალს მთოვარი თრობა.

მიაქვს შრიალით ფოთლებს

გამხმარ ხეების გმინვა;

სიგიჟე ფანტავს ლოთებს...

სად ვარ?... საიდან?... ვინ ვარ?..

მთვარე, გამხდარი, მოგავს

ბალიშს, ცრემლებით დამბალს.

სულო, ლანდები მოგაქვს,

ყვითელ ცახცახით დამბლა?..

კიდევ გაივლის შფოთვა,

როგორც დამწვარი ქალი,

საღღაც მოხუცი მოსთქვამს

და ლამეების კვალი...

აცვენს ცრემლების საფლობს

დაღუმებული მთვარე,

ქარი დასტირის საფლავს...

მოყავს ლანდები მალე....

შუქებს გადმოაქვს ცრემლი,

აფენს ვერცხლების ზონარს...

ცახცახი საოცრების

გადაჩვევია წოლას...

ლამე ცივი და მდორე,

გვერდი, გამხდარი თრევით,

გული ცხელი და მდომე...

თვალეები ნაფთრევი...


ო, არ დამტოვა ქარმა...

კიდევ გაისმის გმინვა...

სულში კანკალებს ქარვა...

სად ვარ? სად მივალ? ვინ ვარ?...

კულა—მელა.



ამხ. ჯულაშვილი—სტალინი: არავითარი მენშევიკები!..

(„კოკოდლიდან“).

## ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო მუშა, რომელსაც ცხოვრების ჩარჩოები იმით დაეფუშა, რომ ცოლი გაუზხდა ავით.

— აბა ხუმრობა ხომ არ იყო სახლის მომვლევი ქალის ავადგახდომა.

— გაექანა სარაიონო ექიმისაკენ. რას იზამდა. მოიპატიჟა ორდერის ძალით.

— ექიმმა ზიზლით დახედა ორდერს და შეჰპირდა მოსვლას.

— „ნუ დაიგვიანებთ, თქვენი ჭირიმი, საქმე ცუდად არის.“ შეევედრა მუშა ექიმს.

— „თქვენს გარდა, ბევრი სხვაც მყავს. მოითმინეთ და მოვალ“. მკვახედ მიუგო ექიმმა.

— მუშამ გამოსწია შინისკენ მცირე იმედით.

— იმ დღეს, თქმა არ უნდა, ექიმი არ მოვიდა.

— არც განმეორებულმა ორდერმა უშველა, უფრო გაბრაზდა.

— მუშის ავადმყოფ ცოლს კი ამასობაში სიკვდილის ანგელოზი ეწვია და „ტანგოს“ საცეკვაოდ ეპატიჟებოდა.

— შეშინდა მუშა, გაჰყიდა, რაც რამ ებადა, მოათავსა ლურჯ კონკერტში და გაე-

ქანა ექიმისაკენ. ექიმი სადილს მიირთმევდა და პირველად, მუშა რომ დაინახა, მის პროტესტებს საზღვარი არ ჰქონდა.

— „არც ერთი წამი მოსვენება, სადილსაც კი არ მაჰმევენ, რაზედ მოთრეულხართ?!“

— მაგრამ როდესაც მუშამ დაანახა მას პატარა „პაკეტი“ ფულით, უცებ ფერი და ხმა გამოიცვალა და ღიმილით დაუწყო საუბარი, ღვინოზედაც კი მიიპატიჟა, მაგრამ მისული ძლიერ ჩქარობდა.

— ექიმმა მკლავში ხელი გაუყარა და ასე გამოსწიეს ავადმყოფისაკენ. გზაში თეატრზე და ამინდზე ესაუბრებოდა და ყოველნაირად ცდილობდა, რომ გაერთო. ავადმყოფიც ღიმი დაკვარვებით გასინჯა. ფულის მაღამ მეორე დღესაც დაუპატიჟებლად მოაბძანა გათავაზიანებული ექიმი. მაგრამ მუშამ უხრიკა: რომ მიდიოდა, ერთი უცნაურად შეხედა ექიმს და ჩაახველა.

— „ამ „ვიზიტს“ კი დამზღვევი კასსა გადაგიხდის!“ ანუგეშა მუშამ.

— „Хам и обманщик“ მიირთვა მისგან ქათინაურებათ.

— ეს ზღაპარი ვუძღვენი მე დამზღვევ კასის თავმჯდომარეს, რომელიც ძილის წინ წაიკითხავს, რომ შემდეგ უკეთ დაეძინოს.

ჟურნალისტი.





ებერთმა კარტი გაშალა,  
სტეფა: „ამ კარტსა აქვს რა ძალა“!..  
და ბევრი აღარ აცალა:  
თავის მეტოქეს ახალა.

მეტოქე მკვლავ ძლიერია,  
სდგას ჩაქუჩი მონაღერია,  
დაჭკრა „კოზირის ტუზი“ და  
ებერთს უტვალა ფერია!..

## მესტჰირალი.

ონოფრემ უთხრა კიმოთეს,  
დღე გაგვიტენდა შავიო,  
სულ წაგვამწარეს, რაც ვკამეთ  
საკურთხი—შილაფლაფიო,  
ჩვენს ლოცვას ყურს არვინ უგდებს  
განზე გაგვიდგა გლეხიო,  
კომუნისტურმა პარტიამ  
თავს დაგვატეხა მეხიო,  
აღარც წირვა სწამთ, არც—ლოცვა,  
არც წმიდანი, და ხატიო,  
ლამის გაგვიჟდე—დარდისგან,  
დავდივარ როგორც ბატიო.  
შენც იცი, მიჩვეულნი ვართ,  
კარგსა სმას, კარგსა ჰმასა,  
როგორც შეშვენის მოძღვარსა,  
ხალხის სულიერ მამასა,  
ქორწილ-ქელეხში მე სუფრას  
ვეჯექი, როგორც თამადა,  
ლეთისაგან ნაკურთხი სმა-ჰამის  
არა ვყოფილვარ ხამადა!  
დღეს კი რას ეხედავ? სად არის  
ძველი დრო, მირონ-ცხებული?  
სად არის ძველი საკურთხი,  
ბატკანი, გასუქებული?

—მართალსა ბრძანებ, ონოფრე,  
მეც მაგან დამასწავლა,  
კომუნისტების მომგონი.  
ლეთისაგან ყველა წყეულა.  
მაგრამ ღმერთებიც რო სდუმან,  
ეს არის გასაკვირიო,

რომ აღარა სჯის მეტიჩრებს,  
ამან შემიკრა პირიო,  
ნუთუ არ ძალუძს აჩვენოს  
ხალხსა თავისი ძალოო,  
ხედავს, რომ არათ ავდებენ  
და თითქოს არის ჩალოო!  
ჩვენში დარჩეს და აწ ღმერთზე  
მეც ამიჯრუდა გულია,  
თვალ-ცრემლიანი დავდივარ  
იმედი დაკარგულია!..  
მშვიდობით, ქელებ-ქორწილო,  
მშვიდობით, ჯვრისა წერაო,  
მშვიდობით ტოლუმბაშობა  
და ჩარიამას მღერაო!..

ბოშოთელი.

## პანტელეიმონ ილუბა- ტიძე.

საბიბლიოგრაფიო შენიშვნა.

ვინ შეინარჩუნა თავის გდებით სახელი  
პოეზიაში?

ჩვენი პეტრე, რომელსაც შინაურები პე-  
ტოს ეძახდნენ, ჩინებული ყმაწვილი იყო. ქარ-  
თულ წარმოდგენებს არ აკლდებოდა. წიგ-  
ნებს კითხულობდა. რედაქციაშიც დადიოდა  
და ხშირად კორესპოდენტებსაც სწერდა.  
მართალია, კლასიკური განათლება არ მიუ-  
ღია პეტოს, მაგრამ ამას მაინცდამაინც დი-  
დი მნიშვნელობა არ აქვს. ნაკითხი და ენა  
მკვირცხლი, ის მაინც კარგ შთაბეჭდილებას  
ახდენდა ამხანაგებზე.

ერთ მშვენიერ დღეს რედაქციაში...

პოდენციის მაგიერ ლექსი მოიტანა. რედაქ-  
ციამ ლექსი დაიტოვა, მაგრამ არ დაბეჭდა.  
მიზეზი: შეუძლებელი გახდა გამორკვევა იმი-  
სა, თუ რა ენაზე იყო დაწერილი ლექსი,  
რადგან შიგ ალმონდა ისეთი სიტყვები, რო-  
მელიც მათელ ქალაქში ვერავინ ვერ გაიგო.

აქედან დაიწყო პეტოს განდიდების და  
გამგონების პროცესი. მართალია, ზოგი  
ფიქრობს, რომ მისი მოღვაწეობა იწყება იმ  
დღიდან, როცა „წრუპიკონში“ დაიბეჭდა  
პირველი ლექსიო, მაგრამ ამ ვერსიის დამ-  
ცველ ბიბლიოგრაფებს არ აქვთ. ალბათ  
ცნობა ზემოდ მოყვანილ ეპიზოდის შესახებ.  
ჩაეწერა თუ არა მგოსანთა ორდენის „კა-  
ვალრატი“, პეტომ თანხმად ტრადიციის,  
მიიღო ახალი სახელწოდება—პანტელეი-  
მონ. ხოლო მისი ლამაზი გვარი—ლუბა-  
ტიძე—შეიცვალა ილუბატიძით.

დღეს პანტელეიმონ ილუბატიძე დიდ  
მგოსნათ ითვლება. წლიურ ანგარიშში „წრუ-  
პიკონელები“ დიდის პატივისცემით იგონე-  
ბენ მას.

ჩვეულებრივი მკითხველი ჯერ-ჯერ მის-  
წვდა მის ლექსთა სულს. ბევრს ჯერ არ ეს-  
მის მისი უაზრო ლექსები და დამტვრეული  
ქართული ენა. ბევრი დღესაც კითხულობს:

—რით აიხსნება საიდუმლობა, რომ პან-  
ტელეიმონ ილუბატიძე, რომელსაც არც  
ქონია, არც აქვს და არც ექნება ლექსის  
წერის ნიჭი, დიდ მგოსნათ ითვლება?

ამაზე ბევრს ახსენდება „რუბიკონის“  
(მე-№15) კითხვა:

—„ქართული არ იციან და რუსული. თა-  
ვის გდებით კი ვინ შეინარჩუნა სახელი პოე-  
ზიაშიო“?

რომელზედაც უპასუხებენ:

—პანტელეიმონ ილუბატიძე.

გ.რ. სლუჩაინი.

## მზისუმზირა და ხატიბალა\*

(ყანწელებს)

მზისუმზირა დახრილიყო,  
დედამიწას დასცქეროდა  
და მიდამოს სიამაყით  
უძახოდა და უმღერდა:  
„მოდი, მნახეთ ბედნიერი,  
განვიცადე სამოთხეო,  
ფესვებით ვსვი მიწის წვენი,  
რა ტკბილია ეს სითხეო.  
იგიჟმაყე, დედამიწავ,  
ჩამეხვეი ჩამბლუჯეო;  
დავითვერი შენის ხვევით,  
და თვალები დავხუჭეო...  
მატიტელამ გამოსძახა:  
„მზეუჭვრიტე ბატონოვო!  
რად ღალატობ პირველ სატრუოს,  
მაღალსა და სხივოსანსო?  
და რათ ეტრფი დედამიწას,  
შავბნელსა და ჩრდილოვანსო.  
მიწის სიტკბო რას გვაკვირვებს,  
ეგ ნექტარი ჩვენც გვიცდია,  
მზისა გვითხარ, ან ზეცისა,  
რაც ჩვენ ჯერ არ განგვიცდია.  
„ხე ნაყოფით დაფასდების“  
და არა ფესვებითაო;  
გირჩევ, ისევ მზეს ახედო,  
ეტრფილო ისევ მასა,  
მზისუმზირა რათა გქვიან,  
თუ სდევ ქვენა გულის თქმასა?!..

ონავარი

\* ბალახია





## გრანდებს ნიანგი ამა დაკრებით:



როგორც მოითხოვს საბჭოთა წესი  
და ადამიანთა ჩვენი მთავრობა,  
რთული სახელი ყველა მოკლდება  
და წერა-კითხვის უცოდინრობა.

„წილკანუნ“ — ითქმის ამიერიდან.  
მაგრამ რადგანაც სოფელ წილკანში,  
ალბათ, ბევრია ისეთი, ვინც რომ  
გაუწყაფავი არის ანბანში.

ამიტომ, ნაცვლად წილკანუნისა,  
ჩვენ რომ ვიხმაროთ, ვსტყვათ, წილკანური.  
მით რომ დიდი რამ არ დაშავდება,  
სიმართლე არის ეს ანბანური.

და ჩვენც დეკრეტის ამ პირველ მუხლში  
ვადგენთ კანონად თქმით, უმტკიცესით,  
რომ წილკანურის ლიკვიდაცია  
ჩატარდეს ყველგან დაკრებით წესით!

შემდგომად ამის და დამატებით  
მეორე მუხლი ამბობს დეკრეტის,  
რომ კითხვა ჩვენში ყურნალ-გაზეთის  
ბოისპოს ყველგან, ნიანგის მეტის.

და ვისაც ხელში, ან ილლიაში,  
ჯიბე-უბეში, ან კიდე ქუდში  
არ აღმოაჩნდეს ყურნალი ესე,  
მიცემულ იქნას ყველა „ნარსუდში“.

მესამე მუხლში ჩამოთვლილ იქნას  
ყველა სასჯელი და საზღაური,  
ვინც ნიანგისთვის „ზაკბონთა“ სახით  
ვერ გაიმეტა ორი შაური.

რაიც მთელი თვის განმავლობაში  
აბაზზე მეტი არ შეყენდება,  
თუ დღე შემთხვევით ორმოცდა ხუთი  
ოდესმე თვეში არ გათენდება.

თუ ნარკომია, ან ცეკას წევრი,  
მყის ჩამოერთვას ავტომატული,  
მხოლოდ ნარკომ-პროდს ნაცვლად აერთვის:  
ყუბანის ფქვილი და ქართობილი.

ნარკომ-ზღრავს კიდე — მთელი სკლიანკა,  
აღსაყვს ზეთით, სასაქმებელით,  
და ნარკომ-გნუდელს-კერძო ბინაზე  
მთლად კაბინეთი, თავის შეხელით.

ნარკომ-პროსს ყველა პენსიონერი  
გადმოერიცხოს ნარკომ-სობესით  
და ნარკომ-ზემმა ზღოს. ჩამოართმეულ  
მიწების ფასი ანკეტის წესით.

რაც შეეხება შევდეგ ნარკომ-ფინს,  
მოესპოს სრულად მას ემისია  
და ნარკომ-ფორტელს რას ვსთხოვთ?

ყურნალი

გადასაგზავნათ მაინც მისია.

თუ ხოზ-ორგანოს გამგეა იგი  
და ნიქავს ჯამაგირს განუსაზღვრელად,  
გადახდეს ხელზე ერთი თვის ხვედრი,  
ხოლო მოესპოს ორი წლის მთელად.

თუ „ატვესტეგენი სპეცია“ იგი  
მეოცდა-ათე კატეგორიის,  
ცამეტი მათში მყის გაუქმდეს  
და კვლავ წაერთვას კიდეც ორი ის.

პირველ-მეორე კატეგორიულს  
და ასე ზევით ყველას — მერვემდე  
თითო იმდენი ზედ დაემატოს.  
თუ არ მომხდარა სადმე ეს დღემდე.



ა. პუტ.

## „წარის და კითხვის უცოდინ- რობის ჩატარდეს ყველგან ლიკვიდაცია!“

თუ ის მუშაა, შრომის ბირჟიდან,  
და დამზღვევ კასის არ არის წევრი,  
ალბათ, წარსულში ადგილს უცდიდა,  
და მომავალში იცადოს ბევრი.

თუ „სოგ-დამაა“, ან „სოგ-ბარიშა“,  
მათ გარჩევაში რომ არიან შესცდეს,  
დრო შემოუკლდეს სამსახურისა  
და კავალრები გაუათყვედეს.

თუ არის იგი სკოლის მუშაკი  
და მოღვაწეობს სადმე სოფელში,  
მას გაუმრავლდეს მოწაფეები,  
დოქტორი, კალათით და თევზით ხელში.

თუ ის გლეხია, სოფლის „კულაკი“  
მპყრობი ოთხთხები ბევრ ნახირისა,  
მას ჩამოერთვას: ცხენი, თხა, ძროხა...  
სუფეველა, გარდა ერთი ვირისა.

და ისიც შერჩეს მხოლოდ იმისთვის,  
რომ სანოვანე ბლომით აჰკიდოს  
და ზამთარ-ზაფხულ სოფლიდან — ქალაქს  
ნიანგისათვის ჰზიდოს და ჰზიდოს..

თუ განაკრები ხუცესი არის  
და დეკრეტის წინ შენაცოდია,  
მყის ჩამოერთვას უკვე ყოფილი  
მას ანათორა და ფოფოლია.

მნათეა ის, თუ მატარებელი  
საეკლესიო სხვა რამე ჩინის,  
მას მიესაჯოს მხარით ტარება  
თვალზე ცარიელ ხუცის ხურჯინის.

სოფლის ნაჩარხალ-ნამედუქნეებს  
ჩამოეთაროს თავს აბლაბუდა,  
საგზლად ჯიბეში — მკვდარი თაგვები  
და ილლიაში, — მესტვირის გოდა.

ნაპრისტავალი თუ არის იგი,  
ან კიდე ვინმე, ნასტრაჟნიკალი,  
მხარი შეემკოს ფარგის ნაქრებით  
და დამალ ტარნით — გულის ფიქალი.

ნამამასახლისო ამას არ გვადრებთ  
და, რომ არ გვიგმონ ენამჭევრობა,  
მათ დაუმტკიცდეს „ფეჩატის დასმით“  
დამფუძნებელი კრების წევრობა.

მიკიტნებს, ან და ნამიკიტნარებს,  
მოყვარულთ ღვინის და ხარჩოს წუმპის,  
სავალდებულო წესად დაედოს  
მუცლით ტარება ცარიელ რუმბის.

ნათავადარს, ან ნააზნაურალს  
ხელზე მიმინოთ დაესვას კრუხი  
და ჩამონართმევ ქონებისაგან  
უკან მიეცეს მხოლოდ ჩიბუხი.

თუ ის ქალაქის სოფდაგარია  
და ჩერვონცების უყვარს გროვება,  
მას კრიზისები სწვდეს საყელოში  
და „ნალოგების“ კრეფის დროება.

თუ ბირჟევიკი არის ის ვინმე  
და მოყვარული აეიოტაქის,  
მოთავსდეს იგი „ჩეკას“ სარდაფში  
და ლეჭოს კევი „მოგების კაჟის“.

თუ არის იგი ქალაქის დამა  
და მოლაღატე საკუთარ ქმარის,  
მას სახე ცარკის ფხენილით შეემკოს  
და ხელმანდილი — სურნელით, ძმარის.

ინტელიგენტი თუ არის იგი  
და სტეპანის ქუჩებს სადმე ქალაქში,  
ტროსტად მიეცეს ხელში ჯანჯუხი,  
ამოვლებული სოფლის ტალახში.

თუ ის ქართველი მწერალი არის  
მიმართულებით — „ივერიელი“,  
მიჰყვეს საკუთარ ნაწერთა ზვირთებს,  
ვით წყალში, — კუ და ზედ მორიელი.

თუ ის „ცისფერი ყანწელი“ არის,  
მანაც იმასქნას იმავე რიგზე,  
მხოლოდ, კუს ნაცვლად, ის უნდა იჯდეს  
მყარალი ჰაერით გაბერილ ტიქზე.

თუ არტისტია და ქართულ სცენას  
თუნდ მცირე ხნითაც ესიყვარულა,  
მას ევალება, ყოველ კვირა დღეს  
ნახოს დიდუბეს ცხენთა მარულა.

ამით დასრულდეს დეკრეტი ესე  
და ის იმ დღიდან შედის ძალაში,  
რა დღესაც იგი ჯერ კიდევ აზრად  
გაჩნდა ნიანგის თავის ქალაში.



## ტ ი პ ი.

ალექსანდრე კუპრიელი სირაქლემადე დაიბადა, გაიზარდა და გაივსო ერთ გაპროლეტარებული აზნაურის ოჯახში.

რაც უკვე ვსთქვით სირაქლემადეზე, სავსებით საკმაო იქნებოდა, რომ სიტყვა-„გაივსო“ არა გვეკონოდა ნახმარი ცოტა გაუგებრად. საქმე იმაშია, რომ ვინც კი ამ „გაივსოს“ წაიკითხავს, პირველად ასე ეგონება, თითქმის სირაქლემადე ერთი ჩაკურატებულ ჩალიპიანებული მორგვი ვინმე იყვის. სულო ცოდვილო, სირაქლემადის მამის სახელი „კუპრიელი“ ამ აზრის აღმძვრელი თუ არა, დამდასტურებელი მაინც უეჭველად არის.

მაგრამ არც ის არის ანგარიშიდან გამოსატოვებელი, რომ, თანახმად ხალხური სიბრძნისა: „ვინც გააჩინა თხაო, მანვე მოუკაჟუტა რქაო“, კუპრიელს, გარეგანი სიმრგვლე-სიმორგვის გარდა, შინაგანი სილბოც ახასიათებს. მე არ მოგახსენებთ იმ კუპრზე, რომელიც კუპრიელს შიგნიდან აქვს მოვლებული, არამედ იმ სილბოზე, ანუ სითხეზე, რომელიც კუპრიელს შიგნიდან უმეტეს წილად სჩვევია ხოლმე და აი სირაქლემადეზე ნახმარ სიტყვას „გაივსო“-საც სწორედ ეს ფსიქოლოგიური ბაზისი უდევს საფუძვლად.

რაც შეეხება გვარს-„სირაქლემადეს“, მართალია, ალექსანდრე კუპრიელი აზნაურული ჩამომავლობისაა, მაგრამ საგვარეულო ღერბი, ჩამომავლობითი სიგელი და სხვა ასეთი გვაროვნობისთვის აუცილებელი ატრიბუტები არ მოგვეპოება ხელთ არც ჩვენ და არც მას. ამ საპატიო მიზეზის გამო, შეუძლებელია იმისი თქმა, ან არ თქმა, რომ სირაქლემადის ძარღვებში არ სცემს აფრიკული სისხლი.

მიუხედავად ამისა, ასეთ გვარს სირაქლემადეში აქვს თანამედროვე გამართლება. ვისაც კი უნახავს ალექსანდრე კუპრიელი ჩვენებურს ქორწილებში, ნათლობა-დღეობებს, თუ სხვა ინტიმურ საღამოებებისთვის გაშლილ სუფრებზე, იმისთვის კუპრიელიჩის სირაქლემადეობა, ან კიდევ სირაქლემადის კუპრიელიობა უკვე არავითარ ეჭვსა და რყევას არ განიცდის.

ხოლო ყველა ამავს ზედაც დაურთეთ ერთი აყლაყლებული, წელში რამდენიმე წინ გადმოხრილი, საკმაოდ გამხდარი არსება რომლის ასეთსავე სახეზე ვეებერთელა მოქნილ-მოგრეხილი ცხვირი განდრეკილის მთის კეხივით ჩამოწოლილა და თქვენთვის წვიმიან-ქარიან შემოდგომის დღესავით ნათელი იქნება სირაქლემადის სურათი.

ყველა ამ უბედურებასთან ერთად, სირაქლემადე ხელობით მასწავლებელიც არის. მაგრამ მიუხედავად ამისა, მას მასწავლებლობის სარფიანად გამოყენებაც კი მოუხერხებია. ერთი ალა თურმე თავის მზარეულზე მეტად ცუდი აზრისა იყო და მას დასამზადებლათ ისე არაფერს ანდობდა, თუ თვითონ არ ედგა გვერდში. მაგრამ რადგანაც ეს ყოველთვის შეუძლებელი იყო, ამიტომ იძულებული ზდებოდა მისთვის ალარაფერი შესაქმელ-შესასუსნავი არ მიენდო.

ბოლოს, რომ სრულიად უსაქმოდ არა ჰყოლოდა, კვერცხების შეწვა მაინც დაავალა. მსუნავი მზარეული, სახეზე აშკარა სიამოვნების დამჩნევით, შეუდგა ამ ერთი შეხედვით მისთვის გამოუსადეგარს საქმეს. მაგრამ სიამოვნების ამ აშკარა გამოტეხამ დააფიქრა ალა და იმანაც დაუწყა თავის ახირებულს მზარეულს თვალის დევნება. მზარეულმა ჩამოწკრივა კვერცხები კერის პირას და მიუშვირა გაჩაღებულს ცეცხლს. თითონაც იქვე კერასთან ჩამოჯდა და ხელში პურის ნაჭერი მოიმარჯვა. კვერცხებმა რომ შეთბობა იწყეს, მათს ნაჭუჭებს დაახსა ხშირი და ცხელი ოფლი. მზარეულიც სწრაფად ცეცხლისკენ გადაიხარა: მშრალი პურის ნაჭერის კვერცხების ნაჭუჭებზე წობა იწყა და ასეთ ანაზღა შაჭამანდით შერეულ პურს დაუწყა გულმოდგინეთ ჭამა. ალა გაოცდა. მან თავისი მზარეულის გამოსწორების შესახებ უიმედოთ ჩაიქნია ხელი და იმ დღიდან მზარეულიც შეუზღუდველად აღადგინა თავის თანამდებობაზე.

სწორედ ამ მზარეულის ხერხითა და გამორჩენის უნარით უხვად იყო დასაჩუქრებული სირაქლემადე. დროც ხელს უწყობდა და თვითონაც მუდამ კარგს განწყობილებაში იყო სასწავლებლის გამგესთან, რომელიც უნდა ითქვას, რომ სირაქლემადის თითქმის ასლს წარმოადგენდა, თუმცა შესაძლოა, რომ სქესით მაინც ყოფილიყო განსხვავებული მისგან. ამ შემთხვევაში ზოგიერთებს საბაბი მიეცემოდა ეფიქრნა, რომ სწორედ ეს განსხვავება არის ამ ორი ერთი შეხედვით მსგავს პიროვნებათა კეთილ-განწყობილების მასაზრდოებელი ბაზაო. მე კი იმ აზრს უფრო ვიცავ, რომ ეს კეთილგანწყობილებაც ბოლოს და ბოლოს აიხსნება მხოლოდ სირაქლემადის ყველაფრისაგან გამოსაჩენთა გამოდინების ნიჭითა და უნარით.

არც თუ მოწაფე ახალგაზრდობა ჰყავდა სირაქლემადეს უმადური. საკუთარ სასწავლებელში ხომ ისეთი იშვიათი მოეპოვებოდა, რომელთაგან დავალებულს, მას თავის მხრით დავალებულიც არა ჰყოლოდა. ხოლო, გარეშე ამისა, იშვიათი იყო იმ პატარა ქალაქში ოჯახი, სადაც სირაქლემადე ამა თუ კუპრიელებითი მიმართებულს დამოკიდებულებაში არა ყოფილიყვის და, მაშასადამე, ბავშვების გულიც არა ჰქონოდა მოგებული ნებისითი სიტყვით, თუ უნელი მოქმედებით.

ჩვენ ზევით გაკვრით მოვიხსენიეთ, რომ სირაქლემადეს დროც ხელს უწყობდათქო. რა თქმა უნდა, დრო თავისთავად ხელს არავის მოუწყობს. პირ იქით, დროს თითონ შენ უნდა აულო ალლო. ალლოს აღებაში კი სირაქლემადეს ვერავინ შეედრებოდა.

ეს ცოტაა.

ის ამ გზაზე არ ინდობდა არავის. და თუ თავის გამგესთან იყო ესეთს კეთილს განწყობილებაში, ეს გასაგებია და ბუნებრივიც. ეს ორი პიროვნება სწორედ დედამამ სირაქლემასავით იცადენ თავიანთ საერთო „ბუდეს“. ამ „ბუდესთან“ ისინი არა თუ არ აქაჩანებდნენ გარეშე ვისმე, არამედ თავხედ მომსვლელებს, რომელნიც ბედნიერი შემთხვევით და უბედური გარემოებით

აქ ფეხის მოცდენის დღესვე თუ გადურჩებოდნენ სირაქლემადის და მისი გამგის საშიშარს ბრწყალებს და ნისკარტებს მეორე და მესამე დღეს კი ეს უკანასკნელს თავპირლღეცით აძუებდნენ მუნიოგან. ეს ამ წყვილისთვის დიდათ ხელსაყრელი გარამოება საზოგადოებრივი ცხოვრების თვალთახედვის ისრით იყო მუდამ ერთ ადგილს დაისრული და იწვევდა იმისი ტანის ძუძუ-მკერდზე ჩუმსა და თანგაუნელებელს ტკივილს...

მართალია, ეს ტკივილი დრო და დრო ხელოვნურად ნელდებოდა, იმავე დედამამალის მოხერხებული მოქმედებით, როცა ისინი დროებით ხანმოკლე ითვისებდნენ და ითავსებდნენ თავიანთ „ბუდეს“ გარეშე პირებსაც, მაგრამ არ გაივილიდა სულ რამდენიმე დღე, რომ ბურტულ-გაყრევიანებული „გარეშენი“ ისევ თავქუდმოგლეჯილნი გამოვლიდნენ მუნიოგან.

და ასტყდებოდა ისევ „სვლა იერუსალიმად“ ახალ „ბურტულ-გასაყრევიანებელთა“ საძიებლად. ერთი შეხედვით ადამიანს ეგონებოდა, რომ ეს შეტკბობა—შეთვისებული წყვილი ასე მოსურნ-მონატრენი იყვნენ ამ „გარეშეებისა“. მაგრამ ნამდვილათ ძაღლის თავი იმარხებოდა არა ამაში, არამედ „იერუსალიმად სვლაში“, რომელთანაც შეკავშირებული იყო საგზაო-საზღვაო-საზავო და კვლავ საომარ-შესაძლებლობათა საშუალებანი და საშუალებათა შესაძლებლობანი.

უნდა გენახათ ალექსანდრე კუპრიელი ახლად წასატყოვნელი და კვლავ გასაბურტულავთა „პარტიის“ წრეში სადმე სარდაფში, ან სხვა რომელიმე რუმბებიანს დაწესებულებაში, სადაც იგი მსმენელებს აჭარხლებს-აწიწმატებდა ლალის სითხითა და უსაზღვრო შეპირებებით. პატივცემულ ნინო ნაკაშიძის ცნობილი პიესის—„ვინ არის დამნაშავეს“ გმირი—ყარამანა გერკილაძე მოგაგონდებოდათ, რომელიც თავისი მოქარგული ენით აბრიყვებდა ამერიკაში წასატყოვნელთ. მართალია, ამერიკა შორსაა და იქ წაბუთება ჩვენებური, ჯერ კიდევ გაუჩვენებელი გაუბედავი გლენებისა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა გამოქნილ ყარამანასათვის, მაგრამ არა ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენდა ბოლოს და ბოლოს სირაქლემადის მისიის პირნათლად შესრულებაც, ვინაიდან—„ყველა მდინარეში რომ ჩააფურთხებ, რომელიდან-ღა მიირთმევთ შგმდევ წყალსო“, სამართლიანად შენიშნავს ხალხური სიბრძნე. და სირაქლემადის მიერ თანამშრომელთა ეგ მიწვევა და შემდეგ ამოძუებაც სწორედ ამ ყველა მდინარეში ჩაფურთხებასა ჰგავდა.

ბოლოს და ბოლოს „ავი ხმა“ ამ შეხმატებილებულ წყვილ სირაქლემადე შორს გავარდა და კუპრიელიჩის ლათაიები აღარავის სჯეროდა, მაგრამ ამ უკანასკნელსაც ეს უნდოდა, ვინაიდან არ არსებობს მდგომარეობა, რომელიც სირაქლემადეს მოუსარგებლებელი გადარჩეს, ან რა უნდა იყოს ისეთი პიროვნებისათვის, როგორიცაა სირაქლემადე, ისეთი მდგომარეობა, როცა ფერადი ქაღალდებით ეზომება „ცხოვრების“ საშვლებანი. ქაღალდი კი არა, ძველებურათ ოქროსი, ვერცხლის და სპილენძის მრგვალი ნაჭრებიც რომ იყვის, ქაღალდის



ადგილზე, იმათაც კი ბრ დაინდობს სირაქლემაძის გაუმძღარი ყია. ყია-ყიაა, ხოლო, თუ დარვინიზმს დაეუფლებო, სირაქლემაძის კუჭი რკინის ნივთებსაც კი ინელბსო, ნათქვამია.

ჰო და, თუ კი ეს ასეა, მაშინ რათ უნდა გავიკვირვოთ, რომ სირაქლემაძეც რითიმე ჰგავდეს თავის პატივცემულ პაპას, აფრიკელ სირაქლემაძეს.

ყველა კაცს თავისი ეკონომიური პოლიტიკა აქვს. მართალია, ახალი ეკონომიური პოლიტიკა ყველა ამ დაქსაქსულ პოლიტიკებს თავს უყრის ერთად, მაგრამ მთელის არსებობა კიდევ არ მოასწავებს შემადგენელ ნაწილების სრულიად მოსპობას.

კაი ბიჭია სირაქლემაძე, რადგან მას აქვს თავისი საკუთარი და განსხვავებული ეკონომიური პოლიტიკა. მაგრამ მას არც მე ჩამოვრჩები, ვინაიდან მეც ჩემი ეკონომიური პოლიტიკა მაქვს: სირაქლემაძის პოლიტიკას კვალ და კვალ მივსდევ, ვააშკარავებ იმის მოღვაწეობის პირ ქვეშ ამოღებულ სარჩულს, ვსწერ ამის შესახებ და ამ ნაწერში მეც არა ნაკლებ გონორარს ვიღებ, ვიდრე სირაქლემაძე თავის „ამას-იმას“-ში, ე.ი., მრავალ მხრივსა და საზოგადოებისთვის ფრიად სასარგებლო შრომასში.

ონისიშე.



## საბაჟოდაც საიქიოში\*)

ამხანაგო ნიანგო!

— ჩვეულებრივად გიღვინთ საიქიოდაც მიღებულს მეორე ანგარიშს:

— ცენტრალნაია!..

(საიქიოდან) ცენტრალნაია?

მე—ოჰ, მომკლა ამ ცენტრალნაიამ! ვინა ხარ ტელეფონში?

ხმა.—მე ვარ შენი ვაჟა!

მე—ო,ო, გამარჯობა ვაჟა, გამარჯობა!

ვაჟა—დუტუ ხარ?

მე—დიახ, დუტუ ვარ, ნეტარ ხსენებული დუტუ.

ვაჟა—დუტუ! შე ბოდიშს ვიხთი, გუშინ უნდა მოვსულიყავი ტელეფონში, მაგრამ ილიამ მიჩივლა, კაცო, და სასამართლოში ვიყავი დაბარებული!...

მე—როგორ, თუ გიჩილა?

ვაჟა—როგორდა შენ მთის მწვერალი ხარ და იცი მისი საიდუმლებო: გორის და ტოკიოს მიწის ძვრაში მე მდებენ ბრალს. მე მე რა შუაში ვარ, კაცო?! განა, მე არ შემაწუხა იაპონიის მიწის ძვრამ? ერთი ისე გამანჯღრია, რომ მარჯვენა გვერდი ჩამილეწა: მე—ხა, ხა! ხა,

ხმა ცენტრალნიდან—ტელეფონში სიცილი არ შეიძლება.

მე—ვაჟა, მითხარი, თუ ძმა ხარ, სასამართლო მაქაც არის? კაცს მაქაც სჯიან?

ვაჟა—რომელი არის, კაცო! პირდაპირ ტყავი გძვრება.

მე—საინტერესოა მაინც ვიცოდე, რა ქვია თქვენს „სულს“ იქნება მაქაც ჩეკა არის, ა!

ვაჟა—რის ჩხრეკაა, აქ ისეთი უკანონოობაა, როგორც მაქეთ, თქვენში იყო სამიწის წინეთ.

მე—ვაჟა. კაცო ილია მაინც რაღას გერჩოდა, მან პოეტური ძმობა არ გაგიწია?

ვაჟა—პოეტური ძმობა კი არა, მის გაზეთ „ივერიაში“ ვთანამშრომლობ აგერ ერთი წელია და გონორარი არ მიმიღია, იარე შენი ჩამოხეული ჩოხითო, მეუბნება.

მე—როგორ თუ „ივერიაში“? განა ილიამ საიქიოშიც აღარ დაანება თავი მაგ გაზეთის გამოცემას? კაცო, ვაჟა! ახალი ამბავი იცი? ჩვენში სრულიად საქართველოს უსულო, უკაცროვით, სულიერ მწვერალთა კავშირები შეერთდნენ. მათი ორგანო „ივერია“ არის. ერთი კითხე, თუ ძმა ხარ, ი. ჭავჭავაძეს: მან მიცა ნება ამათ გაზეთისთვის ასეთი სათაურის დარქმევისა? ისე მე პოეტურად გირჩევ: სააქოს, „ივერიაში“ ითანამშრომლო, წერაც ადვილია შიგ და ჰონორარსაც კვირაში ორჯე იძლევიან!..

აბა შენ იცი, პასუხს თუ გამომიგზავნი. მართლა, ახლგ მომავონდა მიწის რჯული—გრიგოლ რობაქიძე მიდის ევროპაში „ფაშისიზმის“ შესასწავლად, შეიძლება მაქც გამო-



იაროს წასვლისას, ან წამოსვლისას და იმის ხელით შემომითვალე!

ვაჟა, გესმის? მოგიკითხა ზაქარიაშ. სეიფოლა იოსელიანს გაატანა შენი წიგნი ფერეიდანში, სპარსულ ენაზე გადასათარგმნად.

ნუ გეშინია, გული არ გაიტეხს! ტუქსი-შვილია შენი მიმდევარი. შენ მთაზე წერდი და ის კი ვაკეზე სწერს. ვაჟა, ვაჟა! აქ კომუნისტი...

ცენტრალნაია?...

ხმა—გატოვა!

მე—ეშმაკებმა დაგტოვა შენ მაქ, ვილაც ცენტრალნაია ხარ, რა უდროვო დროს შემაწუხებთი ვაჟასთან ბაასი.

ცენტრალნაია—ამდენხანს რომ ლაპარაკობ, მამაჯანოვის არღანი ხომ არ გგონია, შვილოჯან? ამის გამოგონებაში ფულია და ხარჯული.

მე—(ცენტრალნაიას, ვედრებით) შენ გენაცვალე, არ გაუშვა ვაჟა და მეგადავიხდი ფულს. აჰა, ერთი ჩერვონეცი!

—(ხმა ცენტრალნიდან) ჯერ მომეცი და მერმედ კი!...

მე—(თავისთვის) შაირი თუ გინდა, ეს არ არის, საიქიოშიც ფულზე ლაპარაკობენ, თურმე?

ალბად, მენშევიკების აგიტაციამ თუ მოახდინა გავლენა საიქიოში. ეტყობა, ტყუილად ლოცულობდნენ მღვდელ-დიაკვნები: სააქაოში გამწარებული, საიქიოში მოისვენებო! ძაან მოსვენება კი არის, შენწუმომიკვდე. საცოდავი ვაჟა, აქაც დახეული ჩოხით დადიოდა და იქაც ვერ მოუხერხებია მისი გამოცვლა.

ოხ, ვაჟა, ვაჟა! სააქაოში რომ იყო, „ახალ მოდის ნაცრისფერი სიმბოლისტიები“ რა კომბინაციებს გასწავლიდა. პირდაპირ მიკიტანივით დაუშვებდი ღიპს.

ცენტრალნაია!

ცენტრი....

ხმა—ო, ვინახარ?

მე—მე ვარ, დუტუ!

ხმა—თქვენ ეი, დუტუ ხარ, თუ ვილაცა ტუტუცი, ნუ გამიჭივრე საქმე, მომშორდი თავიდან! აკი გითხარი, რომ მავთული სამილდით გაქირავებული არის მეთქი.

მე—დასწყველოს ღმერთმა, შენც და შენი მომგონიც, რა ლაპარაკის ხასიათზე ვიყავი და სადშემაწყვეტინე, შე ოხერო, შენა. შე-არცხვინა ღმერთმა შენცა და შენი ტელეფონიც.

z.


## ვაჟარის ნატვრა

ნეტავ, ეს ჩემი დუქანი უფრო პატარა ამეგო, გამვლელ და გამომვლელისთვის ყველასთვის მახე დამეგო, ღირები შემომენახა, მარტო ბონები გამელო, ჩემი ნაშოვნი ფულები „კომბოში“ რომ არ წამელო, ფქვილი თავლაში მემალა, რომ ეს არავის გაეგო, და ამნაირად თავნიდგან მე არაფერი წამეგო, რაც მეშოვნა და მეპოვნა, მსწრაფლ სტამბოლისკენ წამელო!...

პ. ოზოლი.

\*) ამხანაგო! სასაცილო აქ არაფერია?





სახსურკომის ბანაობა ციფრების ზვირთებში  
(იხ. 11 ნოემბრის „კომუნისტი“.)

## „წიკუპრსები“

1. გაიხსნა ინვალიდ ექიმთა თავშესაფარი... „თბილ ადგილს“ მიიღებს ყოველი ექიმი, რომელსაც აკლია ყურთა სმენა და თვალთა ხედვა და აღარ შეუძლიან სიარულიც... მისამართი: ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება.

2. 12 ოქტომბერს, ვერის დაღმართზე, ერკობის მაღაზიაში № 1, ვიყიდე შაქრის ფხვნილი 1 გირ.—1.600.000 მ. და საპონი „ტოლე“ ერთი ნაჭერი 2.000.000 მან. შაქრის ფხვნილი იყო სველი და საპონი დამბალი... იქვე გვერდით, კერძო მაღაზიაში იგივე ფხვნილი იყიდებოდა 1.550.000 მ. და საპონი 1.900.000 მან. ორივე კარგი ღირსების და მშრალი... რაშია საქმე? სანამდის უნდა გაგრძელდეს ასეთი „კონკურენცია“!...

3. ექ. ხარატიანის მეთოდი ადამიანთა გაახალგაზრდებისა გადატანილ იქმნა დრამატულ ნაწარმოებებზედაც: ცნობილმა რეჟისორმა მარჯანიშვილმა გააცოცხლა ძველი პიესები ქართული დრამატურგიებისა და მათ შორის მთლად გაახალგაზრდავა ღრმად მოხუცებული „გაყრა“ და „შოთა რუსთაველი“. პირველში მან „გაბაოსიაკა“ ძველი თავადი და მემამულე, რისთვისაც მას გააძრო ფეხთ-საცმელი, ჩააცვა გრიკოს შალვარი და მიაბა ტარას-ბულბას ულვაშები... მეორეში თამარ მეფის სასახლე გადააქცია ბალაგნათ და მისი მხლებელნი—პეტრუშკებათ, რისთვისაც მათ ცხვირამდის გადააფარა ყვითელი ბრეზენტი... მკვდრებით აღდგენილნი და გაახალგაზრდებულნი მოითხოვენ თვალთ-მაქც მარჯანიშვილის გაახალგაზრდავებასაც, რადგანაც ეშინიათ, რომ, სიბერის გამო, ამ უკანასკნელმა კვლავაც არ გამოიგონოს უკვე გაახალგაზრდოვებულთათვის რაიმე ახალი „მეტამორფოზა“.

## სალაპი ნიანგს

კარგა ხანია კუთხეს მივადგე ჩემი კალამი, ძმა, ამხანაგი, ჩემგან დაშთენილს უყურადღებოთ

მოკიდებოდა ზედ წვერზედ ჟანგი, და დღეს, ზოგ—ზოგს რომ ასე ჰგონია ძილში ვარ, თითქოს მიმეღოს ბანგი, თავისებურად სიმებს სჭიმავენ, მოუმართნიათ მაღალური ჩანგი.

დამვიწყებოდა თითქოს ერთგული მრავალი ხნისა შრომა, ამაგი, როს ყურთ მომესმა მაღალურებისა ჩანგის წრიპინი, მგესლოვი ჰანგი, და დაეიკენესე ძწარედ გულ-შინა: „სად არის ჩემი „მათრახი“, შმაგი?!!! მაგრამ „მათრახის“ სამაგიეროთ გამოჩენილა მძლავრი „ნიანგი“!

ახლა კი ჰმართებს ჩემსა კალამსა წვერი მელანით მოვუფარაყო და ვემსახურო „ნიანგს“ ერთგულათ, სიმართლის წერა უარ არა ვყო, ნიანგსა მივსცე პირში უღირსნი, მით ვინუგეშო, მით ვიამაყო. სალაპი შენდა, ჩაგრულთ მოსარჩლე, გისურვებ ხანგრძლივ იბრძოლო, იყო!...

ან. განჯის-კარელი

## თხაოზიად.

ამ ბოლოხანებში ჩვენი თანამშრომლები რალაცა არაჩვეულებრივ ყურადღებას აქცევენ თხებს და მათი ცხოვრების ავანჩაფანს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ნაწარმოებებს არ ვათავსებთ ჟურნალ „ნიანგში“, თუ არ მივიღებთ მხედველობაში „ჩვენი ფოსტის“ ამა თუ იმ პასუხს, თხების შესახებ ცნობები მაინც მრავალი მოგვდის.

აი, მაგალითად, რას გვწერს სოფ. ჯუმათიდან ხუშტური:

„ამაწინათ ს. ნიგუზიანის თემალმა-თავმჯდომარე ბახუსის ტაძრიდან ბრუნდებოდა თურმე ხელისუფლების ტაძარში, რომელიც დღე და ღამ მუდამ ღია ყოფილა. როდესაც მიახლოვებია სამმართველოს, შეუმჩნევია, რომ ვიღაც უცნობი პირები გაფაციცებით საქმიანობენ შიგ. რადგან მას არავითარი ცნობა არ ჰქონია მიღებული თავისი გამოცვლის და სხვისი დანიშვნის შესახებ მის მაგიერ, ამიტომ მეტათ გაუცვიფრებია ამ გარემოებას, მაგრამ საბედნი-

ეროთ მისდა, აღმოჩენილა, რომ სამმართველოში მოსაქმე პირები ყოფილან ვინმე ჯიჯიშვილის თხები და არავინ სხვა. გაბრაზებულ კილაძეს უშიშვლია იარაღი და იქვე გაუციებია ერთი მათგანი, სხვებს კი მოუსწრიათ გაქცევა. თხის ჭირისუფლებს, გლოვის მაგიერ, გაუმართავთ მეორე დღეს მხიარული ქეიფი, რომელზედაც მიპატიჟებული ყოფილა აგრეთვე თვით კილაძე და რომელსაც მეტათ მგრძნობიარე სიტყვები წარმოუთქვამს.

კორესპონდენტი არ გვატყობინებს დაწვრილებით, თუ რა ილაპარაკა კილაძემ. ის აღნიშნავს ნხოლოთ მას, რომ კილაძე მეტათ კმაყოფილი დარჩენილა თავისი ახალი გამოგონებით, თუ როგორ არ უნდა შევიდეს პირუტყვი კარლია სახლში: ამისთვის მას უნდა მოსჭრათ თურმე კისერი.

## „ნიანგს“

პატაკი.

თქვენი ბრძანება მივიღე— და შეუდექი საქმესა; ჩემ რაიონში რა ხდება, ყველაფერს მოგწერ, შენ მზესა! „ნარკომპროსის“ წინა კედელს ვუთვალთვალე... და, შიგაც ვმჭერ; მივიხედავ, მოვიხედავ და „სანიანგო“ ამბებს ვწერ... ამ დალოცვილ სასახლეში, რომ შეხედო, ვის არ ნახავ?! მხოლოდ შენებრ, გენაცვალე, სასტიკად-კი ნუ დასძრახავ!.. აქ მოსულთა სიჭრელეში შეამჩნევთ მრავალ ფერებსა; თხოვნით ხელში მონოზანს, და ვაჭარს, მღვდელს,—ყოფილ ბერებსა! ვის რა უნდა?—რას გაიგებ!— თვალებს ირგლივ აფეთებენ... და სიტყვების რახარუხით ამ შენობას „აფეთებენ“! ამოდენა უსაქმური, ნეტავ, აქ რისთვის აწყდება? (ვინ იცის ამ ჩემს პატაკზე რა „ხმაურობა“ ასტყდება!!! ფუსფუსებენ, რალაცაზე... აცანცარებენ წვერებსა; („ნიანგო“, შენი კლანჭები მათ სხვა ხმით აამღერებსა!) აქა ნახავთ, პატივცემულ, მწერალთ კავშირის წვერებსა; „პენსიების“ მოლოდინი „სიცოცხლეს უნახევრებსა!..“ ეს იკმარე. ეხლა მივალ ერევნისა მოედანზე; ბირჟევიკებს განგიქეპავ, არ გავდებები ჩემთვის განზე!..

არა ერდელი.






## „გულიანი“

რადგან ძალა ზოგჯერ აღმართს,  
ზოგჯერ დაღმართს ვეღარ ჭრისა;  
მეც ამიტომ არ ვეხები  
სტუდენტების გასაჭირსა.  
მართალია, ბევრი არის  
ლარიბი და უსახსარო,  
ეს რა ჩემი საქმე არის,  
მას მთავრობამ დაეხმაროს.  
სტიპენდია დაუნიშნეს  
(ალბად, წლის ბოლოს მისცემენ).  
ასეთ კარგს და მტკიცენიშნებს  
მეგობრებიც თაყუან სცემენ.  
იმ კაცს მე რაღა ვუწოდო,  
ვინც გაჭირვებას აგვიწერს,  
მე ლხინს მინდა არ შევცოდო  
და სალხინო საქმეზე ვსწერ.  
დღეს ჭკუასთან მძიმე დაღად  
გრძნობაც გამოვითანიე.  
ოხერი ვარ: ბალით-ბაღად  
მიყვარს მე „გულიანი“,  
განსაკუთრებით იმ მხარეს,  
სად სწავლობენ **კურსისტები**.  
აბა, ვის არ გაახარებს  
მათი გრძელი დაღალტემები.  
ერთი მოგავს საცხებელს და  
მეორე კი — **სახე მთვარეს**.  
ნუთუ ღმერთი გამიწყრება:  
არც ერთი არ შემიყვარებს?  
ამ მიზნებით განვიზრახე  
გავმხდარიყავი **სტუდენტი**  
და ამ რიგათ მესარგებლნა  
ჩვენი უნივერსიტეტით.  
იქ მეც ვნახე ჩემი სატრფო.  
სახელად ჭვია **მანია**,  
ჩემი გული მან გაათბო  
და ტანი — „გულიანიამ“  
ამას შემდეგ აღარ ტოკავს  
ჩემი ვნება, ჩემი სული:  
**მანო** გახლავს ჩემი სწავლაც,  
ჩემი ცოდნის **მატრიკულიც**.

შ.




ვენატე ნინოშვილი პიტნავას რესტორანის კედლიდან: სიცოცხლეში ხმელ პუ-  
რსაც კი არავინ წამოძიებდა, ხოლო ეჭლა ამ სანოვანით დატვირთული სუფრების ყო-  
ველ დღიური და ძალა უნებური მოწამე ვარ.

## წერილი გაუოშიდან.

ძმაო — ნიანგო, ავიღებ კალამს.  
და მორიდებით მოგიძღვნი სალამს!..  
ამბავს გადმოგცემ ჩემსას, თუ სხვისას:  
მოკეთებების, დისა, თუ ძმისას.  
არავინ დამრჩება უყურადღებოთ,  
ზოგს საძრახათ და ზოგს სანაქებოთ,  
რომ მოგიყვები აქაურ ამბავს,  
ვიცი, დაიცოხ შენ ყურში ბამბას.  
სიაფე არის ჩამოვარდნილი,  
თუ „ატვესტენი“-ს გაქვს შენ ადგილი,  
თუ რომ არ ზიხარ „გოს მინიმუმზე“  
წევხარ ფარჩასა, თუ აბრეშუმზე,  
ბევრი გაქვს სახლში სულ ყველაფერი,  
რომ არ ვიყუებო მე კიდევ ბევრი,  
ბევრს არ მოვყვები იმას, თუ ამას,  
დიდი ადგილი უჭირავს ჭამას,

შ.



წმინდა მოგება ახალი ლიანდაგიდან  
— 540,000,000 მან.

(ქალ. აღმასკ. პრეზიდენტის გამოან-  
გარიშებით).


წმინდა ზარალი ახალი ლიანდაგიდან  
4,519,118,000 მან.

(ჩვენი გამოანგარიშებით).

ქეიფობა და დროსა ტარება,  
აღდგომა იყოს, თუნდა ხარება,  
მუდამ ღიაა რესტორანები.  
და შიგ ვაჭრობენ ბოგდახანები,  
ალარ გეყოფათ იქ გოდრით ბონი,  
რახან მათ პატრონთ აკლია ქონი.  
დილიდან დარჩე შიგ საღამომდი...  
ხო, მართლა, წელან იმას ვამბობდი...  
ვერ გაგაძლებენ ბორშით და პურით,  
რომ ჩამოკიდო; თუ გინდა, ყურით.  
ბაზრობამ იკლო, ძმავ, ნურიაში,  
რადგან სტველია დღეს გურიაში,  
ყველი და კვერცხი ისე გაძვირდა,  
ათჯერ იმატა, რაც წინად ღირდა.  
(ლობიო თუ კი გამოჩნდა სადმე,  
„ანონას“ პატრონს ყველა დასჭირდა),  
მათ გააძვირეს პატრიქანებიც,  
სულ შეიყიდეს ლურჯი, მწვანებიც...  
მოსამსახურეთ თუ გსურთ ამბავი,  
კი შეგაწყინე ძალაზე თავი,  
მაგრამ იმათი მდგომარეობა,  
სანატრელია, როგორც დღეობა.  
„ტავარნი რუბლი“-თ ჯამაგირები,  
ზოგს — „ატვესტენი“, ზოგს კი-ლირები  
(„მინიმუმების“ რა უნდა გითხრა,  
ჩამოუშვია ყველას ცხვირები...  
ფულიც რომ დროზე აღარ ეძლევათ  
რამდენიმეჯერ შენაპირები?)  
ზოგს ჯამაგირებს აძლივენ დროზე,  
თუ ბუღბატორი არ შეჯდა ჯორზე,  
და თუ რომ შეჯდა ის ძმაო ვირზე  
ფულს ვერ მიიღებ შენს გასაჭირზე.  
არ განიხილავს წარდგენილს სიას,  
ისე გიყურებს, ვითარცა ჭიას...  
თუ ამ ზამთრისთვის ოთ ხს მოითხოვ,  
გაზაფხულისთვის მოგცემენ ბინას,  
მოვაჭრეებმაც იცვალეს გული:  
მათ აღარ მოსწონთ დღეს ჩვენი ფული.  
ლირა, სტერლინგი, გინდა ჩერვონცი,  
მათ რომ ვერ აძლებს, ხარ განაოცი!  
მეტე რა გითხრა მე აქაური:  
ხშირია ზოგჯერ აურ-ზაური.  
ამაზედ, ვგონებ, შენცა გსმენია.  
რომ მხარე ესე არის ზღაპური...

პ. ობოლი





წარსულ საგანგებო ყრილობაზე მოხდა ქართველი მწერალთა გაერთიანება. შაბათს 10 წევრის, ფუტურისტებმა „ეს“ გაერთიანებული ფრონტი ისევ „გაარღვიეს“. გარღვეული ფრონტის ხელახლა თავის მოსაყრელად, როგორც ხედავთ, საჭირო შეიქნა მილიციისა და საგანგებო კომისიის ჩარევა.

ნიაზი და ონისიმი კი იცინიან, იცინიან, კვდებიან სიცილითა.

## რადიოგრაფია

### 1. გომი ნ ნობმბერი

ახალი ფილოსოფიური მოძღვრება „მტაცებელიზმი“, რომლის დასაბამი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს, დღეს დანამდვილებით იქნა აღმოჩენილი. ეს აღმოჩენა ეკუთვნის თრიალ პატივცემულ და დამსახურებულ პროფესორთა ჯგუფს. ამ უკანასკნელის აღმოჩენით რამდენიმე სხვა და სხვა ფილოსოფიური მოძღვრებანიც კი როგორცაა: „გაღლეტიზმი“, „მტაცებელიზმი“, „წაგლეჯიზმი“ და სხვ. ერთი და იგივე მიმართულებისა და შეხედულებისა ყოფილან. და ამ, „თითქმის მივიწყებულ“ მოძღვრებათა აკვანი ყოფილა უძველესი დგომი და ახლა კი—გომი, რომლის საშოში ჩასახულა, დაბადებულა, შემდეგ დროთა ვითარებაში გაფუჭებულია და დღეს კი თავის უმწვერვალეს განვითარებაში მყოფი. ამ მოძღვრებათა ჯგუფში რიტი გამოთქმული და მატარებელი ყოფილან გომკვეთრის ზოგიერთი თანამშრომელი.

ეს სახელწოდება „კავშირი“, როგორც ძველი ქალღმერთი ცხოვრების იეროგლიფური წარწერებიდან ჩანს, მაშინაც წარმოადგენდა კავშირს იმ პირებისას, რომელნიც მხოლოდ ყოფილან თვისი პირადი სარგებლობით დაინტერესებულნი. ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობა ბევრნაირად შეიძლება გაიგოს: კავშირი, ანუ ორგანიზაცია მუშათა ინტერესების დასაცავათ; კავშირი მცარცველთა; კავშირი მტაცებელთა, რომელთაც მხოლოდ ეგოისტური მისწრაფებები ამოძრავებთ; კავშირი გაიძვერათა, რომელნიც მხოლოდ გაიძვერაობას ჩადიან და მრავალი სხვა. ამ პროფესორთა ჯგუფს თან ჰყავს თავისი შე-

ხედულების მიმდევარი, რომელთაც ძალიან ხშირად უხდებთ სხდომები მეცნიერული მიზნით და ლექციათა კითხვა თანამემამულეთა აღსაზრდელათ.

ერთი სიტყვით, ჯერ-ჯერობით დიდი ღვაწლი დაიმსახურა ამ ჯგუფმა და მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგშიც კიდევ უფრო განავითარებენ ამ ფრიად და ღრმამნიშვნელოვან მოძღვრებებს. მაშასადამე, უსურვით მათ სრული დამარცხება.

კუდიანი.



## გიგათის ოჯის

პროფ.—შკოლა.

**გამგე** — გენაცვალე! მოწადიებს ვეასწავლე ქარგვა ქსოვა, სადაც არის გამოგვიდიან „რევიზორი“ მოვა, მოვა!..

**მასწავლ.** ქარგვა-ქსოვის მე რა ვიცი, არც ჭრა-კერვა მომდის ხელში, „რევიზორს“ რომ გავიგონებ, მეტჯინება სული ყილში. არა დროს არ მისწავლია, მოწმობაც სხვისი მაქვს ხელში: იგი ჩემი დაისა, მისცეს მას სასწავლებელში. ჩემი საქმე ასეთია, გენაცვალე, ჩემო გამგე!

ერთი სისხლის-ხორცისაა ჩვენი.

მომეხმარე, მიამაგე.

**გამგე**

რა ვქნა, დაო, დღეს არ გადის პროტექცია, აღარც ქრთამი, პოლიტგანიც აღარ არის არც უფიცი და არც ხამი!..

შანთი.

## ქრონიკა

### სათეატრო ინსტიტუტი

სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტში მეცადინეობა მაღლა დონეზე დგას: მოწვეული არიან საუკეთესო პედაგოგნი, რომელნიც კითხულობენ, სამეცნიერო და სალიტერატურო საგნებს გარდა, თეატრალური სფეროდანაც, რომელი ატმოსფეროსაგან ინსტიტუტი სავსებით გაწმენდილია.

### ახალი გადასახადი

ვინაიდან პორტფელის ტარება მოდაში შემოვიდა (წარმოიდგინეთ სპეკულიანტებიც კი ატარებენ მას), ურიგო არ იქნებოდა, — შემოღებულიყო ახალი გადასახადი პორტფელზედაც.

### სახელმწიფო ოპერაში

საოპერო დირექციის მიერ მოწვეულია დასში იტალიის საოპერო მსახიობი ვაგი, რომელსაც ეძლევა თეატრად 450 საქონლის მანეთი, მხოლოდ იმ პირობით, კი, რომ სცენაზე არ გამოჩნდეს და 15-20 მანეთ ჯამაგირიან მუშებს, რომლებიც, საბედნიეროდ, გასაგებ მიზეზის გამო, თეატრში მაინც ვერ დადიან, შური არ აღუძრას.

### დუელი

ქართველ მწერალთა კონფერანციაზე კატო მიქელაძეს და „დიდ“ პავლე საყვარელიძეს (არა პენსიანი) დიდი განხეთქილება მოუვიდათ, საყვარელიძემ მიაყვია კატოს: „მე შენი და პავლიაშვილის ესტეტიკა არ მომწონსო. პავლიაშვილი ღვინის მგოსანიაო და შენ კი სუფრაჟისტების კამანდირიო“.

კატო მიქელაძემ აუხსნა დამსწრეთ, რომ პავლე საყვარელიძე მწერალი არ არის, რადგან მას არც ერთი ლიტერატურული ნაწარმოები არ აქვს, ამავე დროს კი გენერალთა პრეზიდენტში საპატიო ადგილი უკავია მას, რაღაც გაუგებლობით, როგორც ეს ეხედება აზოგადოთ ყველა მენშევიკს.

საყვარელიძემ მიქელაძეს ორი სეკუტანდი გაუგზავნა: პალო იაშვილი და გრიგოლ რობაქიძე, კატო მიქელაძე დათანხმდა დუელზე, ოღონდ ხმალის მაგივრად იხმარა თავის დამტყრეულ ქოლგას. გაჯავრებულმა საყვარელიძემ, „ალიონის“ მაგივრათ, მოსწია ყალიონი.

### სეიფოლა იოსელიანის გამგზავრება—

ფერადანელ ქართველების წარმომადგენელს—სეიფოლა იოსელიანს—ჩვენი საზოგადოება დიდი ამბით და ხელცარიელი შეხვდა, ხოლო ხელცალიერადვე გაისტუმრა სპარსეთისკენ.\*)

\*) ბუნებრივია, ქართველური ხელგაშლილობისა, და გასაგები, ფერადანამდ რკინის გზის უქონლობის გამო.

შენიშვნა ნიანგისა.



## ფურთხის ალოკვა

ცისფერ ყანწელებმა ხელოვნების სასახლეში მე 19 საუკუნის მწერლების სურათებს მიაფურთხეს და კავშირიდან გავიდნენ. კოტე მაყაშვილმა დააბრუნა გაქცეული ძმები—ყანწელები, აალოკინა ნაფურთხი და გრიგოლ რობაქიძესაც საარშიყოდ კალთაში ჩაუჯდა. პავლე საყვარელიძემ კი, რომელმაც ვარდის ეკლებით დაუფარა გზა მიმავალ ყანწელებს, ცისფერი იეზით დაუმზეინა იგივე გზა დაბრუნებულებს.

ნ. ტყეია

## ფოსტა.

— იქა—ს. თქვენი „მიუჭიფარე“, ვარდო „სოფელის მაგუსაფალი“ გაეპიფორი, დავაპიფორი. მიუჭიფორე და გოზორცქუ...

გრ-ს: თქვენი მოთხრობა „უსათაურო“ არც ისე უსათაუროა, როგორც უშინაარსო. ესარგებლობთ მისი მეოთხე ფურცელით, როგორც სუფთა კაი ქალაღლით.

ოტიახ: თქვენი კომედია შარეი „მოსაქმენი“ მეტათ უსაქმური; მოდი ერთი უსაქმოებზე დასწერეთ რამე, იქნებ უფრო საქმიანი გამოდგეს.

ნ. ინ-ძეს: თქვენი მოთხრობა „კვანძი“ ისე უბრალოთ გამოკვანძული გამოდგა, რომ სულ ადვილათ გასახსნელი აღმოჩნდა, ამისთვის ალექსანდრე მაკედონელის ხმალი არ დასჭირებია ნიანგს.

„სიბნელის მსურველის“ ავტორს გაუგია, რომ ნიანგი ემტერება მღვდლებს და დიაკვნებსო, ამიტომ რას არ იგონებს ის ამ საბრალო ხალხზე და ასმენს ნიანგის წინაშე. ვარდზე რომ თხამ ანწლი დაამყნა, ამის შესახებ ცნობა იყო რომელღაც გახეთში გამოქვეყნებული, მაგრამ მღვდელს რომ თხა ეზიარებისო,—ეს კი არ გაგვიგონია, მით უმეტეს შეუძლებლათ მიგვაჩნია სამეფხა სკამის ზიარება, რადგან თუ თხას პირი მაინც აქვს, რომელშიდაც ასე თუ ისე კოვზით ზიარების ჩასხმა შესაძლებელია, სკამს პირი არცკი გააჩნია. გახსოვდეთ, რომ ყოველნაირი იარაღით ბრძოლა მღვდლების წინააღმდეგაც დაუშვებელია.

ალ. კარს: ჩვენს მოურავ ონავარს მინდობილი აქვს ნათლიმამობის თვალყურის დევნება და მისი აღმოფხვრა. თქვენ კი აწვდით მას ცოლის ძმობის და სხვა ნათესაობის ამბავს, რომელსაც ჰქონია ადგილი ფარმაცევტთა კავშირში. ჩვენ ვსდევნით მხოლოდ ნათლიმამობას, რუბენის ტეზისები კი უარყოფს მენშევიკებთან ნათესაობას. ფარმაცევტმა რომ ფარმაცევტთან არ იქონიოს ნათესაობა, ამის წინააღმდეგ ჯერ არავის გამოუთქვამს აზრი. ამიტომ ნუ გავიკვირდებით, თუ გაისადაც ს-მა სააგარაკოთ თავისი და თავის ცოლის ნათესავები გაგზავნოს.

— რედაქცია ამოწმებს, რომ დეპეშა სუფსიდგან ანდრო თოდრიას არ ეკუთვნის.



ან. შანშიაშვილი: პოეზიაში რას მიქვია ბურჟუაზია, ან პროლეტარიატი? არის ერთად ერთი პარანასი!



ბავშვთა დამცველი კომისიის წევრები მიეშურებიან სამსახურში.







ჯერ კიდევ ლხინით ვერ გამძღარიყვენ,  
რომ აფეთქების მოუსწრო დრომა,  
გადაყირავდა წრე მოლხენილთა  
და გადაბრუნდა მათი განცხრომა,

და სადაც ჰპოვა თავის სამარხი  
წრეს გადასულმა ძველ საწუთრომა,  
იქ ხელისუფლად წითელი დროშით  
გამარჯვებული დაბრძანდა შრომა!..